

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემია

Tourism Scientific Academy of Georgia

ISSN 1987 – 6831

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი

PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL



პროფესიონალის ხმა

PROFESSIONAL'S VOICE

3-4 (36)

2024

ქუთაისი

KUTAISI

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემია

Академия наук туризма Грузии
Tourism Scientific Academy of Georgia
ISSN 1987 - 6831

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL

პროფესიონალის ხმა
ГОЛОС ПРОФЕССИОНАЛА
PROFESSIONAL`S VOICE

3-4 (36)

2024

ქუთაისი КУТАЙСИ KUTAISI

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემია
Академия наук туризма Грузии
Tourism Scientific Academy of Georgia

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „პროფესიონალის ხმა“ დაფუძნდა 2013 წლის 1 ნოემბერს. იგი წარმოადგენს საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემას და იბეჭდება ამავე აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით. გამოდის 2013 წლის დეკემბრიდან. ჟურნალში ქვეყნდება ექსპერიმენტული, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის სამეცნიერო შრომები პედაგოგიკის, ისტორიის, ფილოლოგიის, მედიცინის, ეკონომიკის, ეკოლოგიის, სამართალმცოდნეობის, ფიზიკა-მათემატიკის, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სფეროში. ჟურნალს მინიჭებული აქვს სერიული გამოცემების საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISSN). ჟურნალი რეფერირებულია საქართველოს ტექნიფორმის ქართულ რეფერატულ ჟურნალში.

Периодический научный журнал «Голос профессионала» учрежден 1 ноября 2013 года. Он является периодическим научным изданием Академии наук туризма Грузии и печатается по решению президиума Академии. Выходит с декабря 2013 года. В журнале публикуются экспериментальные, теоретические и практические научные труды в сфере педагогики, истории, филологии, медицины, экономики, экологии, правоведения, физики, математики, культуры, спорта и туризма. Журналу присвоен Международный стандартный номер серийных изданий (ISSN). Журнал реферирован в грузинском реферативном журнале техинформации Грузии.

Periodical Scientific Journal “Professional’s Voice” was established on November 1st, 2013. Representing periodical scientific edition of Tourism Scientific Academy of Georgia it is being published under the resolution of the Academy. Is periodically issued since 2013. Different kinds of scientific works and researches such as experimental, theoretical and practical ones in the fields of Pedagogics, History, Philology, Medicine, Economics, Ecology, Law, Physics, Mathematics, Sports and Tourism are being represented. The journal has been awarded the international Standard Serial Number (ISSN) and has been refereed in the review journal of technical information of Georgia.

ქურნალი გამოდის საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

სარედაქციო კოლეგია:

ომარ ცხადაძე - პროფესორი /თავმჯდომარე/
ედიშერ ცხადაძე - პროფესორი
სერგეი ხრიპკო - პროფესორი /უკრაინა/
დარია ჯუსუპოვა - პროფესორი /ყაზახეთი/
ვლადიმერ წვერავა - პროფესორი
ომარ მინდაძე - პროფესორი
ელენე ტროხიმეცი - პროფესორი /უკრაინა/
მთავარი რედაქტორი - **ომარ ცხადაძე**
რედაქტორი - **ლიანა ლორია**
პასუხისმგებელი მდივანი - **ლუარა ლოღობერიძე**
კორექტორი - **ვლადიმერ ცხადაძე, შორენა სიხარულიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა - **ნონა კვერნაძე**

**ЖУРНАЛ ИЗДАЕТСЯ ПО РЕШЕНИЮ ПРЕЗИДИУМА
АКАДЕМИИ НАУК ТУРИЗМА ГРУЗИИ**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

ОМАР ЦХАДАДЗЕ – профессор (председатель),
ЭДИШЕР ЦХАДАДЗЕ – профессор,
СЕРГЕЙ ХРИПКО – профессор (Украина),
ДАРИЯ ДЖУСУПОВА – профессор (Казахстан),
ВЛАДИМИР ЦВЕРАВА – профессор,
ОМАР МИНДАДЗЕ – профессор,
ЕЛЕНА ТРОХИМЕЦ – профессор (Украина)
Гл.Редактор-**ОМАР ЦХАДАДЗЕ**
Редактор-**ЛИАНА ЛОРИЯ**
Ответств.секр.-**ЛУАРА ГОГОБЕРИДЗЕ**
Корректоры-**ВЛАДИМИР ЦХАДАДЗЕ, ШОРЕНА СИХАРУЛИДЗЕ**
Комп. обесп.-**НОНА КВЕРНАДЗЕ**

**JOURNAL ISSUED UNDER THE RESOLUTION OF THE
PRESIDIUM OF TOURISM SCIENTIFIC ACADEMY OF GEORGIA**

EDITORIAL BOARD:

OMAR TSKHADADZE – professor (chairman),

EDISHER TSKHADADZE – professor,

SERGEI KHRIPKO – professor (Ukraine),

DARIYA JUSSUPOVA – professor (Kazakhstan),

VLADIMIR TSVERAVA – professor,

OMAR MINDADZE – professor,

ELENA TROKHIMETS – professor (Ukraine).

Editor-in-chief - **OMARI TSKHADADZE**

Editor - **LIANA LORIA**

Executive secretary - **LUARA GOGOBERIDZE**

Proofreaders - **VLADIMIR TSKHADADZE, SHORENA SIKHARULIDZE**

Comp.supp. - **NONA KVERNADZE**

შორენა სიხარულიძე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ქართული ენის ისტორია, მისი გამორჩეული ადგილი სხვა ენათა შორის

“ენა ბურჯია ერისა” - ბრძანებდა ჩვენი დიდი წინაპარი. იგი ერის განვითარებასთან ერთად იზადება, ვითარდება და კვდება, ამიტომ ენის ისტორია ყოველთვის ემთხვევა ერის განვითარების ისტორიას. მისი არსებობის მთავრები ენის ბიოგრაფიის თანმხვედრია.

ქართული ენის ჩასახვის შესახებ, მისი წარმომავლობის თაობაზე არა ერთი და ორი აზრია გამოთქმული. ერთჯეროვანი, პოზიცია ჯერაც არ არის გამოკვეთილი, თუმცა მეცნიერთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ იგი იბერულ-კავკასიურ ენათა ოჯახის პროდუქტია, იგი “ერთ-ერთი ძველი სამწერლობო ენა იბერულ-კავკასიურ ენათა შორის (ა. შანიძე) “ძალაში რჩება დებულება, წერს აკადემიკოსი აკ.შანიძეც, რომ “იბერულ-კავკასიური ენები არ ენათესავენ არც ინდო-ევროპულს და არც ურარტურ-ალთაურ ენათა ოჯახებს. იბერულ-კავკასიური ენები ნარჩენია, ოდესღაც მრავალრიცხოვანი ენათა ოჯახისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის მიწა-წყალზე და მის სამხრეთით ჯერ კიდევ მაშინ, სანამ აქ გავრცელდებოდნენ ინდო-ევროპული, სემიტური თუ ურალურ-ალთაური ენები: ... ესაა წინა აზიის, ძველი ცივილიზაციის ერთ-ერთი კერის შემქმნელი ხალხთა ენები: ხეთური, პართული, მიტანური, ურარტული, ედიმური... მეცნიერთა უმეტესობა დღეს-დღეობით მკვიდრად ადგას იმ აზრს, რომ წინა აზიის ეს მკვდარი ენები და თანამედროვე იბერული-კავკასიური ენები მონათესავე ენათა ერთ წრეს ქმნიან. ესაა ხეთურ-იბერულ ენათა წრე... „ქართული ენა კი ხეთურ-იბერული წრის ცოცხალი ენაა. მრავალსაუკუნოვანი მდიდარი მწერლობის მქონე ენა“.[1] ქართულმა ენამ განვითარების მეტად გრძელი და შინაარსიანი გზა განვლო. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით იგი ჩვ.წ.აღ-მდე ფარნაოზის ეპოქაში უნდა აღმოცენებულიყო. დღევანდელი მსოფლიო ხაზს უსვამს რა იმას, რომ `ფარნავაზ მეფე იყო პირველი მეფე ქართლოსისა ნათესავთაგანი. იქვე აღნიშნავს: „ამან განავრცო და არღარა იზრახებოდა სხუა ქართლისა შინა

თვინიერ ქართლსა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“. ეს ვერსია პირველიწყარო გახდა გრიგოლ ორბელიანისათვის, რომელმაც ეს ისტორიული ცნობა პოეტურ სტრიქონებში გააჟღერა: „შენ ჰე ფარნაოზ, ჰქმენ ერთმთავრობა, შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი“.

„ქართული ენის კონტაქტები თუ გენეზისური ურთიერთობები არქაული ცივილიზაციის შემქმნელ ხალხის ენებთან მჭერმეტყველულად დადადებს ძველი სამყაროს ეთნოლოგიური ტიპების ჩამოყალიბებაში ჩვენი შორეული „წინაპრების მონაწილეობას.“[2] რაც შეეხება ქართულ სალიტერატურო ენას, რეალური დადასტურებული ძეგლების მიხედვით არსებობს V საუკუნიდან. ხელშესახებია ბოლნისისა და იერუსალიმის წარწერები, შემდეგ კი შუშანიკისა და აზოს წამებანი. 951 წელს გიორგი მერჩულე წერდა, „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულებს“. ეს ფრაზა ანგარიშგასაწევი და მეტად საყურადღებოა ერის ჩამოყალიბების საქმეში ენის უპირველესი მნიშვნელობის აღიარების თვალსაზრისით. ქართველთა ერთ მუჭად გაერთიანების იდეა, ხომ სწორედ ტოკლარჯეთიდან წამოვიდა და მისი სათავე, ბერკეტი და ძირითადი ღერძი ენა იყო. აქ „მთლიანი საქართველო დახასიათებულია ენის ნიშნის კვალობაზე ერის ცნების დეფინიციისათვის ამოსავალი დებულებაა ეროვნული კონსოლიდაციის აღიარება. მე-10 საუკუნის მწერლის ეს ფორმულირება, უთუოდ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის მკაფიო ანარეკლია.“[3].

1902 წელს ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმა იერუსალიმსა და სინას მთაზე მოაწყვეს ექსპედიცია იქ დაცული უძველესი ქართული ხელნაწერების გასაცნობად. ამ მოგზაურობის შედეგების გაცნობისას ძველი ქრისტიანული მწერლობის უდიდესმა ავტორიტეტმა, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰარნაკმა პრუსიის მეცნიერებათა აკადემიაში გამოხატა აზრი გერმანიაში ქართული ენის შესწავლის აუცილებლობაზე, რათა დადგენილიყო ქართველთა და გერმანელთა კულტურული ნათესაობა. იმ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, ამბობდა ჰარნაკი, რომ უძველეს ხალხთა ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველები... გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც

შედლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია იმ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურული, ძმური ნათესაობა ჰქონიათ ჩვენთან და გაგაცნონ ახლოს მისი საუნჯე. დიახ, საუნჯედ შეაფასა უცხოელმა ჩვენი ენა ქართული, ვარდნაბანი ფურცელი, ჩვენს ყრმობაში ჩართული დედის ძუძუ მეორე, სიყვარული პირველი, ჩვენს აკვანს შემომჯდარი მგალობელი ფრინველი. ჩვენ კი... ჩვენ, ვერ მოვუფრთხილდით, ქარტყილები ვერ ავაცილეთ ქართულ ენას. შეიცნო მტერმა, რომ ცხრა ძმა ხერხეულიძის და სამასი არაგველის მშობელი ერს ხმლით ვერ აკაფავდა ამიტომ ენაზე მიიტანა იერიში, რადგან ცხადია, რომ ერი აღადგენს ყველაფერს, დაკარგულ სარწმუნოებასა და ტერიტორიასაც კი, მაგრამ ვერ აღიდგენს დაკარგულ ენას, რადგან მასთან ერთად გაქრება. „ხმათა ხვევრდების ენა“ ძაღლის ენად მოუნათლავთ, მას უწმინდურის ხელით შეხებიან, აკრძალულ ენად უქცევიათ, ქართულად მოლაპარაკეთათვის სასჯელი დაუწესებიათ, მაგრამ უქუხნია ქართულ გენს, ქართულ ჯიშს, აღზევებულა, „ქართლის დედა“ და ამ შეძახილით: „მოვიკლავთ წარსულ დღეებზე დარდი ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს (ილია) მიძინებულ ქართველთათვის ბრძოლის პროგრამა უკარნახნიათ. ერთ ძალად აზვირთდა ენა მამული, სარწმუნება და გაიმართა მართონი ძველსა და ახალ თაობას შორის. ძველებმა „ენის წახდენის“ საშიშროება ანტონ I კათოლიკოსის „სამი სტილის თეორიის“ ზოგიერთი საკითხის უარყოფაში დაინახეს, ამიტომ დაჰკრეს ნალარა: „რა ენა წახდეს, ერი დაეცესო“ ამ ფორმულას დიდმა პოეტმა ნათლად ჩამოაყალიბა ენის ფუნქცია, თუმცა საყვედური არა არგუმენტირებული გამოდგა, რადგან ილიამ და მისმა თაობამ მოითხოვა ერთიანი სახალხო ენის დაკანონება და უარი უთხრა სამი სტილის თეორიას“, ამით მათ გაწმინდეს ქართული ენა და იგი ერთნაირად მისაწვდომი გახადეს ერისა თუ ბერისათვის. გასპეტაკებული, მონობის ბორკილებისგან თავდასხნილი ენა ხელის გულზე ატარა იაკობმა, ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, მთელი XIX ს-ის ელიტამ და XX საუკუნეს შეუბღალავად გადმოსცეს ენა მაღალი, ენა მდიდარი, რომელსაც სახარებასა შინა ლაზარე ჰქვიათ, ვინც საქართველოს რუსთველი მისცა, ვინც საქართველოს თამარი მისცა, და ენა რომელზედაც შედეგებს ქმნიდნენ გალაკტიონი

და კონსტანტინე ბატონი, კვლავ გახდა დავის საგანი. დიახ, ავბდებითად დათარიღდა მე-20 საუკუნის 70-იანი წლები, კვლავ აიშალა საავდრო ღრუბლები ქართული ცის კაზადონზე. ისტორიას უყვარს გამეორებაო, მაგრამ ნახეთ, ბედის სიმუხთლე, მან აღმაშენებლის ეპოქა კი არ გაგვიმეორა, ქართული ენის ძნელბედობის ხანის გამეორება სცადა. რუსეთის იმპერიის სურვილი, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, ამოეძირკვა კაცთა მოდგმის მატეანიდან ენა ქართული XX საუკუნის 70-იან წლებში კვლავ აქტიურად აჟღერდა. და იმ ერმა რომლის პოეტი ანდრეი ბელი წერდა „ქართული სისხლის უძველესი ღვინოა უღრმესი ტანჯვით დადუღებული, ჩვენ ჯერაც ტყავებით შემოსილნი დავეხეტებოდით, როდესაც საქართველო იტანჯებოდა, პირველი ღებულობდა სპარსელების და მონღოლების დარტყმებს. მთელი საქართველო სიმღერაა, რომლის მოტივი კეთილშობილურია, სიტყვები მკაცრი და სევდიანი... დიახ, საქართველო კულტურით იყო აღსავსე მაშინ, როდესაც ჩვენ ტყეში დავეხეტებოდით, ისინი ჩვენზე უფროსები არიან, ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლო მათგან“ (ანდრეი ბელი) სასიკვდილოდ გაიმეტა ენა ქართველი, მაგრამ სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენის ჰანგებზე აღზრდილმა თაობამ ჩვენი „ალმა მატერის“ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფლაგმანობით, იძულებული გახადა საბჭოთა კავშირის მთავრობა უკანვე წაეღო თავის ბრძანებულება ქართულისათვის სახელმწიფო ე.ი. ენის სტატუსის ჩამორთმევის შესახებ. და იმ დღიდან, სწორედ ამ განწყობით თბილმოუბრობენ ქართველნი და დღეს აღარავინ დაობს იმაზე, რომ `ენას ერი იცავს, მასში ერის გული ფეთქს და ერის სული იხატება.` (ნოდარ ნათამე). და არც ის არის საკამათო, რომ ენა რომელსაც საკუთარი ანბანი გააჩნია თოთხმეტი ერთეულით განსაზღვრულ მსოფლიო ანბანთა სისტემაში საპატიო ადგილს იჭერს ქვეყნის ცივილიზაციის განვითარების ისტორიის უკვდავყოფაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. შანიძე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, ტ. I, 1950 წ. გვ. 5.
2. შ. ძიძიგური „ქართული ენის თავგადასავალი“, თბილისი, 1960 წ. გვ. 5
3. შ. ძიძიგური „ქართული ენის თავგადასავალი“, თბილისი, 1960 წ. გვ. 13

შორენა სიხარულიძე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ქართული ენის ისტორია, მისი გამორჩეული

ადგილი სხვა ენათა შორის

რეზიუმე

თემაში ხაზგასმითაა აღნიშნული ენის ისტორიული წარსულის და მისი თანამედროვე სტატუსის შესახებ. ავტორს გამოჩენილ მკვლევართა შეხედულებების დამოწმებით და არგუმენტთა მოშველიებით გამოაქვს ლოგიკური დასკვნები, რაც საკითხს მეტ გამჭვირვალობას და დამაჯერებლობას მენს.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ენის ისტორია, ერის განვითარება, ფარნავაზ მეფე

Шорена Сихарулидзе

Академик Академии наук туризма Грузии.

История грузинского языка, его особое

место среди других языков

Резюме

Тема подчеркивает историческую сущность упомянутого языка и его современный статус. Проверяя взгляды видных исследователей и приводя аргументы, он делает логические выводы, что делает проблему более прозрачной.

Ключевые слова: грузинский язык, история языка, развитие, царь Фарнаваз.

Shorena Sikharulidze

Academician of the Academy of Tourism Sciences of Georgia

**History of the Georgian language, its special
place among other languages**

Summary

The topic emphasizes the historical essence of the mentioned language and its modern status. By verifying the views of prominent researchers and providing arguments, he draws logical conclusions, which makes the issue more transparent.

Key words: Georgian language, language history, development, Farnavaz Mefe.

ლიანა ლორია

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ენის დიდი ქომაგი

სწორუპოვარ ბელეტრისტს, ენის დიდ მოამაგეს, გამორჩეულ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს წილად ხვდა უდიდესი ბედნიერება. იგი დღეს „ილია მართლის“ სახელით მოიხსენიება წმინდანთა შორის. უბადლო ტალანტმა, მშობლიურისადმი თავდადების სურვილმა, ხალხის უანგარო სამსახურმა აქცია ილია დიდ პიროვნებად. „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვაყუდნესო“ ათქმევინა მან მოხევეს და ეს ფრაზა საკუთარი ცხოვრების პროგრამად აქცია. ერის გამოფხიზლებას, ეროვნული ღირებულებების მოფრთხილებას და საკუთარი ხალხის მოფრეზას შეაღია მან მთელი სიცოცხლე... და „დღეს საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, შავ ხავერდზე, პატარა ფრჩხილისოდენა ტყვია დევს, ბერდენას ტყვია, რომელმაც 1907 წლის 30 აგვისტოს, ჯერ ილია ჭავჭავაძის და მერე მთელი ქართველი ხალხის გულში გაიარა და ახლა დევს ეს ტყვია მუზეუმში, როგორც შემზარავი სახსოვარი ერის ტკივილის, განცვიფრებისა, სასოწარკვეთისა, აღშფოთებისა და მრისხანების,“

- ბრძანებდა ნოდარ დუმბაძე და იქვე დასძენდა „ვარსკვლავია ქართველი ერისათვის უკვდავი სახელი ილია ჭავჭავაძისა და მარადიული სხივი გამომდინარე მისგან“.

ჩვენი შრომის მიზანი არ გახლავთ ილიას ფასდაუდებელი ღვაწლის კიდევ ერთხელ შეხსენება, თუმცა იგი არა მარტო მაღალი მოწოდების თემაა, არამედ სარწმუნო და სალოცავიცაა. შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ ილიაზე, როგორც ენის ქომაგსა და რეფორმატორზე. ამ მიმართებით მრავალი გამოკვლევაა ილიას ფასდაუდებელ ღვაწლზე, რაც მრავალჯერ დაწერილა, მაგრამ საჭიროდ ვთვლით დღეს ამის განსხვავებულ ასპექტში განხილვა არა მარტო საჭირო, აუცილებელი და სავალდებულოცაა, რადგან დღევანდელი ჩვენი ქართული „ჩიქორთულს“ დაემსგავსა. ისტორიულად ცნობილია, რომ ილიამ, როგორც ერის მამამ და სამშობლოსათვის თავდადებულმა კალმოსანმა ბრძოლა გამოუცხადა ყველას, ვინც ქართულ ენას თავისი „ბილწი“ ხელით მისწვდა. გულმართალმა თეორიტიკოსმა ყველას დაანახა იმ ცვლილებების გარდაუვალი საჭიროება, რომელიც ენაში უნდა გატარებულიყო მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიამ დიდი გარდატეხის ორი ფაქტი იცის: ერთი „ვეფხისტყაოსნით“ დაიწყო, როცა ახალმა ქართულმა, ხალხურ წიაღში აღმოცენებულმა სიტყვამ, ქართული მწერლობის სარბიელზე დაიმკვიდრა ადგილი და მეორე გარდატეხა, 19 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას თავისი უფლებები დაუბრუნდა. ორივე ამ გარდატეხას თავისი წინაპირობა ჰქონდა. არც ერთი მათგანი არ დამკვიდრებულა თავისთავად. იგი დიდი ბრძოლისა და გამჭრიახი გონების შედეგია. ამ ბრძოლაში, მის მეორე ეტაპზე, განსაკუთრებით გამოიკვეთა დიდი ილიას როლი. მან ხმამაღლა აღიარა ჭეშმარიტება, რომ „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“ და სწორედ ენაში წიაღსვლა, მისი აწმყოს აღიარება და მომავლის განჭვრეტა იკისრა ერის მამამ. ბევრი უსიამოვნება იგემა მან ამ გზაზე. ბევრჯერ დაუწუნეს არჩევანი მწერლობაში უბრალო ხალხური ენის დამკვიდრების, მაგრამ მან არ უღალატა მას „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“ და კანონზომიერად დაამარცხა „სამი სტილის თეორიის“ მეხოტბეები. ილიამ დაამტკიცა, რომ მაღალი სტილით წერა შეუძლებელია.

ბელი იყო და, ბუნებრივია, დაისვა ძველ შეხედულებათა გადასინჯვის საკითხი. ეს ნიშნავდა იმას, რომ ქართულ აზროვნებაში, ქართულ სალიტერატურო ენაში რაღაც უჩვეულო ცვლილებები ხდებოდა. წერილში „პასუხი“ ილიამ მოგვცა ანტონ კათალიკოსის ნორმების დამცველი შეხედულებების გამანადგურებელი კრიტიკა და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ სალიტერატურო ენა ხალხის ენას უნდა ემყარებოდეს, რომ ენას არ შეიძლება მოვახვიოთ თავს ხელოვნურად შემუშავებული წესები, რომ ენის კანონები თვით ენაში უნდა ვეძებოთ, რადგანაც „ენას კანონს თვით ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა“.

ილია დიდ ყურადღებას უთმობდა ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას და მიიჩნევდა, რომ „ლიტერატურული ენა ხალხურ მეტყველებას უნდა ემყარებოდეს“. ილიამ თავისი მახვილი მზერა ორთოგრაფიის კუთხითაც გაამახვილა. მან გაამარტივა ქართული წერის სისტემა და ხმარებიდან ამოიღო ის ქართული ასოები, რომელთაც შესაბამისი ბგერები არ ჰქონდათ. ამ საკითხშიც უამრავი მოწინააღმდეგე გაჩნდა, მაგრამ ისტორიული სიმართლე ილიასა და მისი თაობის მხარეზე იყო. „სადა ენით შესაძლებელი გახდა კლასიკურ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შექმნა. ილიამ და მისმა თაობამ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების განუწყვეტელი ხაზი გააგრძელა“. ამაშია დიდი საზოგადოებრივი და კულტურულ-ისტორიული დანიშნულება იმ ბრძოლის, რომელიც 19 საუკუნის 60-იან წლებში ახალი სალიტერატურო ქართულისათვის წარმოებდა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. „დღეს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა შემდგომი განვითარება ილიას, აკაკის, ვაჟას ენისა. ესაა ახალი ქართული სალიტერატურო ენა“. წერდა მე-20 საუკუნის დასასრულს ბატონი აკაკი შანიძე. დღეს კი ამ ფრაზის განმეორების უფლებაც კი საკითხავია, რადგანის თავანკარა ქართული თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა, ენას ვერ ვუვლით, რაც სამ ღვთაებრივ საუნჯეს-„ენა, მამული, სარწმუნოება“ ერთობას საფრთხეს უქმნის, საუბარი კი „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენას“ ეხება. მე-19 საუკუნის რუსიციზმი, დღეს ინგლისურმა „მარგალიტებმა“ შეცვალა და „ენა მდიდარი“ აივსო ბარბარიზმებით, ჟარგონებით, პლეონიზმებით, პარაზიტი სიტყვებით და საიდან იღება სათავეს ენის აღრევა? საზოგადოებრივ ელიტაში, ეთერში, პრესაში,

ხშირად წიგნებიც ისეთი ქართულითაა გაჯერებული ლექსიკონის გარეშე მოყვარული მკითხველი ვერ წაიკითხავს. ყველაფერი ეს ჭირია, მაგრამ ისეთი მის მორჩენას კვლავ ილია რომ ჭირდება. სიტყვა ჭემმარიტ ქართველებს ეკუთვნით ენისა და ერის გადასარჩენად, რათა „შემზარავ საჩუქარს“ ავაცილოთ ქართული ენა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ.1- საე. მეცნიერ. აკადემიის გამომცემლობა - თბილისი-1950 წ.
2. ილია ჭავჭავაძე თხზ. ტ. 3. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1986 წ.
3. ნოდარ დუმბაძე ტ.5. წერილები-თბილისი
4. ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი-თბილისი 2009
5. ქართული ენა და ლიტერატურა. მასწ. ბიბლიოთეკა-ტ.4-თბილისი 2009

ლიანა ლორია

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ენის დიდი ქომაგი

რეზიუმე

ნაშრომში მე-19 საუკუნის 60-იანი წლების რეფორმის ჭრილში მიმოხილულია ენის განვითარების თანამედროვე პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: ერის მამა, ენის ქომაგი, რეფორმატორი.

Лиана Лория

академик Академии наук туризма Грузии

Большой поклонник языка

Резюме

В работе в условиях реформы 60-х годов XIX века рассмотрены современные проблемы развития речи.

Ключевые слова: отец нации, сторонник языка, реформатор.

Liana Loria

Academician of the Academy of Tourism Sciences of Georgia

Big fan of the language

Summary

In the context of the reforms of the 60s of the 19 th century, modern problems of language development are surveyed.

Key words: father of the nation, supporter of the language, reformer.

ომარი ცხადამე

პედაგოგიკის დოქტორი

**გიორგი ლუკას ძე ჯაფარიძე, ფიზიკური აღზრდის
საკითხების მკვლევარი**

გიორგი ჯაფარიძე, წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, განყოფილების გამგედ, ფიზიკური აღზრდისა და სასკოლო ჰიგიენის მიმართულებით. განყოფილებას წლების მანძილზე შესრულებული აქვს 136 ნაშრომი. მათ შორის ფიზიკურ აღზრდაში 73, ჰიგიენაში 56, ხოლო სამხედრო სწავლებაში 7 სამეცნიერო შრომა. აქ სხვებთან ერთად დიდია გ.ჯაფარიძის წილი.

პედაგოგიურ პრესაში ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა მიერ: ირ. ალაძე, გ.ჩარეჯიშვილი, ზ.კოვზირიძე, გ.ჯაფარიძე, გ.მღებრიშვილი, ჰ.

არაბიანის მიერ გამოქვეყნებულია მეტად საინტერესო ასეული სამეცნიერო სტატია, ფიზიკური აღზრდის საკითხებზე. ასევე გამოცემულია რამოდენიმე კრებული მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სასკოლო ჰიგიენის აქტუალურ საკითხებზე.

გ.ჯაფარიძე სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, პედაგოგიკის ინსტიტუტიდან ორგანიზებას უწევდა, ქვეყნის მასშტაბით, მასწავლებელთა რესპუბლიკურ და საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაში ფიზიკური აღზრდის დარგში მოღვაწე, მასწავლებლების მომზადებას და მათ აქტიურ მონაწილეობას. ამ მიზნით ფიზიკური აღზრდის განყოფილებამ ფართო მუშაობა გაშალა, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. რესპუბლიკურ სამეცნიერო პედაგოგიურ კონფერენციებზე ფიზიკურ აღზრდასა და სასკოლო ჰიგიენის საკითხებზე სულ წაკითვულ იქნა 95 მოხსენება, მათ შორის 4 ჰიგიენაში: „კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ, როგორც ქ.თბილისის, ისე საქართველოს რაიონების სკოლების პრაქტიკოსი მასწავლებლები, მათ შორის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ქ.თბილისის სკოლებიდან - გ.კაკაურიძე, შ.კაკაურიძე, მ.მჭედლიშვილი, ბ.კიტეიშვილი, ვ.ჯანგირაშვილი, გ.ლონტი, ა.პაპალაშვილი. საქართველოს რაიონების სკოლებიდან: თ.კეპულაძე, (ქუთაისიდან) ს.ოხანაშვილი, (თელავიდან) ო.ცხადაძე, (ქუთაისიდან) თ.კუპრეიშვილი, (აბაშიდან) კ.ფანქველაშვილი, ი.კაბისოვი, (ცხინვალიდან) შ.სიხარულიძე და სხვა, რომლებმაც მეტად სასარგებლო გამოცდილება გაუზიარეს პედაგოგებს. კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტისა და თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სპეციალისტები (ზ.კოვზირიძე, გ.მერკვილაძე, ს.ელაშვილი, მ.მაისურაძე, ზ.ბაღდავაძე, გ.ჯაფარიძე, ჰ.არაბიანი, ა.მამარდაშვილი და სხვ.)“[1].

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საკავშირო „პედაგოგიურ კითხვებში“ გ.კაკაურიძისა (თბილისი) და ს.ოხანაშვილის (თელავის მე-3 საშუალო სკოლა) მიერ წაკითხულმა მოხსენებებმა. ისინი შესაბამისად დაჯილდოვდნენ საკავშირო სიგელებით.

დიდია გ.ჯაფარიძის ღვაწლი და როლი ფიზიკური აღზრდის კადრების მომზადებასა და დახელოვნებაში, მათი რესპუბლიკური და სა-

კავშირო კონფერენციებში თვალსაჩინო მონაწილეობაში. გ.ჯაფარიძე, როგორც ფიზიკური აღზრდის საკითხების მკვლევარი და შესანიშნავი ორგანიზატორი თავის მრავალრიცხოვან სამეცნიერო შრომებში გლობალურად შეეხო პედაგოგიკისათვის ისეთ პრობლემატურ თემებს, როგორც არის: „ფიზიკური ვარჯიშებისა და მოძრავი თამაშების გამოყენების ეფექტურობა დიდ დასვენებაზე პირველ კლასში“, „აქტიური დასვენების გავლენა მოსწავლეთა ფუნქციონალურ მდგომარეობასა და შრომის უნარიანობაზე“, „მოსწავლეთა შრომა და ტანვარჯიში“, „ჰიგიენის და ფიზიკური აღზრდის საკითხები პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში“ და სხვა.

აღნიშნული შრომების გარდა იგი ავტორია მრავალი საგაზეთო და საჟურნალო წერილისა, რომელიც ადრე გამოქვეყნდა, როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო სამეცნიერო ჟურნალებში. იგი მონაწილეა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტების კონფერენციისა (1964 წ.), სადაც წაიკითხა მოხსენება თემაზე - „პროფილაქტიკური ტანვარჯიშის გავლენა მოსწავლეთა ფუნქციურ მდგომარეობასა და შრომისუნარიანობაზე საწარმოო სწავლების პროცესში“. აღნიშნულმა მოხსენებამ დიდი მოწონება დაიმსახურა და შრომის ავტორი დაჯილდოვდა შესაბამისი სიგელით.

გ.ჯაფარიძის მრავალრიცხოვან გამოკვლევათა შორის ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთზე, „მოსწავლეთა შრომა და ტანვარჯიში“. აღნიშნული შრომის შესავალ ნაწილში იგი წერს: „იმისათვის, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი საკმაოდ მომზადებულნი იყვნენ პრაქტიკულად, წარმოებაში მეტი ინტერესით ჩაებან და ნაყოფიერად იშრომონ, აუცილებელია ზოგად პოლიტექნიკურ განათლებასა და პროფესიულ ცოდნა ჩვევებთან ერთად მათ სათანადო ფიზიკური განვითარებაც ჰქონდეთ“ [2]. ამიტომ იყო, რომ იგი ხაზგასმით აღნიშნავდა და დაბეჯითებით მოითხოვდა მოსწავლე ახალგაზრდობის მწარმოებლურ შრომაში ნაადრევად ჩაბმას. მაგრამ იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო ისეთი მწარმოებლური შრომისა, სადაც ახალგაზრდები ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით სუსტად იქნებოდნენ განვითარებულნი. ამ მხრივ გ.ჯაფარიძემ ხანგრძლივი კვლევა მიეხატა ჩაატარა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

და დაადგინა ფიზიკურად კარგად განვითარებული და ჯანმრთელი მოსწავლეების ის დიდი შრომისუნარიანობა, რითაც ისინი ადვილად შეეგუენ საწარმოში შრომითი პირობების რეჟიმს. მათ უფრო მეტი ამტანობა და შრომითი შემართება გამოავლინეს. მოსწავლეთა მეორე ნაწილმა, როგორც ამას გ.ჯაფარიძის გამოკვლევები ადასტურებს, ვერ გამოავლინა დადებითი შრომითი თვისებები, ძნელად შეეგუა საწარმოო პირობებს, ნაადრევად ილღებოდნენ, რაც მათ სუსტ ფიზიკურ მომზადებაზე მეტყველებს.

კვლევის პროცესში მან შეამჩნია ისიც, რომ ზოგიერთი მოსწავლე თავს არიდებდა შრომას (ამას იგი იმითაც ხსნიდა, რომ მოსწავლეთა შრომისადმი დადებითი დამოკიდებულება დიდად არის განპირობებული მასში სათანადო შრომითი ჩვევების გამომუშავებაზე) და მოითხოვდა ამ უკანასკნელზე მეტი ყურადღების გამახვილებას.

მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და მათში შრომითი ჩვევების გამომუშავების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად იგი ფიზიკურ ვარჯიშს მიიჩნევდა: „განსაკუთრებულ ადგილს მიაკუთვნებდა ფიზიკურ ვარჯიშსა და შრომას მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებაში, მაგრამ მათ გაიგივებისაგან ყოველთვის თავს იკავებდა და ხაზგასმით აღნიშნავდა ურთიერთ განსხვავებასაც. მისი გაგებით განსხვავება მათ ამოცანებში უნდა ვეძებოთ.“[3]

გ.ჯაფარიძე იმ მკვლევარ პედაგოგთა შემადგენლობაში შედის, რომლებსაც საკუთარი ხანგრძლივი პედაგოგიური შრომით არაერთგზის დაამტკიცეს, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროცესის ის დიდი ძალა, რომლის ყოვლისშემძლეობა, აუმჯობესებს ორგანიზმის ფუნქციურ მდგომარეობას, რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად ამაღლებს ადამიანის ნაყოფიერ შრომისუნარიანობას. იგი განსაკუთრებით გამოყოფს მოსწავლის მიერ ისეთი ფიზიკური თვისებების გამომუშავებას, როგორიც არის ძალა, სიმარდე, სისწრაფე, სიმარჯვე და სხვა. რომლებიც მნიშვნელოვნად ავითარებს მოსწავლეთა მამოძრავებელი აქტივობის სფეროს. მათ საფუძველზე გ.ჯაფარიძე ხაზგასმით მიუთითებს შრომის პროცესში მამოძრავებელი აქტივობის განვითარებაზეც, მაგრამ იგი შენიშნავს შედარებით შეზღუდვას და ამას იგი პროფესიული შრომის თვისებებით

ხსნიდა. ცნობილია ისიც, რომ შრომის პროცესში, მოსწავლე მხოლოდ იმ მოძრაობით კმაყოფილდება, რომელიც თითქმის სისტემატურად, ამა თუ იმ შრომითი პროცესის შესასრულებლად არის საჭირო, ამიტომ მამოძრავებელი სფეროს განვითარება მხოლოდ ერთ დონეზე რჩება. ამ მიმართებით გ.ჯაფარიძე აღნიშნავს ფიზიკური აღზრდის დიდ შესაძლებლობებს. იგი გვირჩევს, ფიზიკური აღზრდის პროცესში ახალ ახალი მოძრაობების შესრულებას და ამას მართებულად თვლის ახალგაზრდობისათვის უცხო მოძრაობათა შეთვისების, მათი შედარებით ადვილად დაუფლების ერთად ერთ საშუალებად.

დაკვირვებულ მკვლევარს მხედველობიდან არ რჩება ფიზიკური აღზრდის ის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც გადაწყვეტი როლი აკისრია მოსწავლეებში მტკიცე ნებისყოფის, ხასიათის სიმტკიცის, ამტანობის, სიძნელეთა დაძლევის უნარის, ორგანიზებულობის, წესრიგისა და სხვა მეტად საჭირო თვისებათა განვითარებაში.

როცა პიროვნების ჩამოყალიბების რთულ და მრავალმხრივ პროცესებს იხილავს გ.ჯაფარიძე პირველ ადგილზე აყენებს ფიზიკური აღზრდის უმნიშვნელოვანეს როლს, რომელსაც დღევანდელ ეტაპზე კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს. იგი ფიზიკური აღზრდის განსაკუთრებულ როლზე საუბრისას ხაზგასმით აღნიშნავს მასზე, როგორც დაღლის პროფილაქტიკისა და შრომისუნარიანობის ამაღლების რეალურ საშუალებაზე. ამ მიზნით იგი მიუთითებს წარმოებაში მუშაობის დაწყებამდე ტანვარჯიშის ფართოდ გამოყენების აუცილებლობის ეფექტურ მხარეზე. გ.ჯაფარიძე თამამად აღნიშნავს სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიშების, ჰიგიენისა და ფიზიკური აღზრდის საშუალებათა რაციონალურად გამოყენების აუცილებლობას, რასაც მან თავისი პედაგოგიური საქმიანობის ძირითადი ნაწილი დაუთმო. სახელდობრ, მან დაწვრილებით შეისწავლა ტანვარჯიშის როლი დაღლის პროფილაქტიკაში. მოგვცა უტყუარი დასკვნები და რეკომენდაციები. საჭიროდ და აუცილებლად ჩათვალა ფიზიკური აღზრდის სხვა ფაქტორებთან ერთად სკოლასა და წარმოება დაწესებულებებში ფართოდ დაინერგოს საწარმოო ტანვარჯიში, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი პროფილაქტიკური საშუალება.

გ.ჯაფარიძე უყურადღებოდ არ ტოვებს ოჯახში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საკითხებს, მასზე სწორი პეაგოგიური ხელმძღვანელობისა და კონტროლის განხორციელებას. ამ მიზნით მან გამოაქვეყნა მეთოდური ხასიათის ნაშრომი, რომლითაც მშობლებს სრული წარმოდგენა შეუქმნა იმაზე, თუ როგორ წარმართონ ბავშვთა ფიზიკური აღზრდა ოჯახის პირობებში, რა საშუალებები, მეთოდები და ხერხები გამოიყენონ ბავშვების ორგანიზმის გაკაჟებისათვის და სხვა. მის მიერ შესრულდა აგრეთვე მეთოდიკური ნაშრომი დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხებზე. მასში მთავარი ადგილი აქვს დათმობილი ძირითად ფიზიკურ ვარჯიშთა სწავლების მეთოდიკას.

გ.ჯაფარიძე ასევე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ მოცემულ დავალებათა შესრულებაში. მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა ფიზიკური აღზრდის პროგრამები დაწყებითი კლასებისათვის და ა.შ.

გიორგი ჯაფარიძის მოღვაწეობა და მეცნიერული გამოკვლევები ფიზიკური აღზრდის საკითხებზე ფასდაუდებელია, იგი დღესაც ეხმარება ფართო საზოგადოებას, აქტუალური და მრავლისმომცველია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტი 1930-1980, თბილისი 1979 წ. რედაქტორი, გ.საყვარელიძე, გვ. 158.
2. გ.ჯაფარიძე, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“. 1962 წ. № 12, გვ.13.
3. ომარ ცხადაძე, „ფიზიკური აღზრდის პრობლემები ქართველ მოღვაწეთა ნააზრევში“, ქუთაისი, 2000 წ. გვ.46. გამომცემელი: ქუთაისის მრავალპროფილიანი დამოუკიდებელი ინსტიტუტის პედაგოგიკა ფსიქოლოგიის კათედრა. რეცენზენტი: პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვლადიმერ გაგუა. განხილული და მოწონებულია საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებული აღზრდის, სპორტისა და სამხედრო მომზადების სასწავლო მეთოდური საბჭოს მიერ.

ომარი ცხადაძე
პედაგოგიკის დოქტორი
გიორგი ლუკას ძე ჯაფარიძე ფიზიკური
აღზრდის საკითხების მკვლევარი
რეზიუმე

შრომაში განხილული და მოცემულია გ.ჯაფარიძის, როგორც ფიზიკური აღზრდის საკითხების თვალსაჩინო მკვლევარის დიდი ღვაწლი და პედაგოგიური საქმიანობა. მისი გამოკვლევები დღესაც, თანამედროვე პირობებში მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია.

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური აღზრდა, სასკოლო ჰიგიენა, პროფილაქტიკური ტანვარჯიში, მოსწავლეთა შრომა.

Омари Цхაдадзе
доктор педагогических наук
Гиоргий Джапаридзе, исследователь вопросов
физического воспитания

Резюме

В работе обсуждаются и приводятся большие достижения и педагогическая деятельность Г. Джапаридзе как видного исследователя проблем физического воспитания. Его исследования очень актуальны и важны даже сегодня, в современных условиях.

Ключевые слова: физическое воспитание, школьная гигиена, профилактическая гимнастика, ученическая работа.

Omari Tskhadadze

Doctor of Pedagogy

**Giorgi Japaridze, researcher of physical
education issues**

Summary

G. Japaridze's great achievements and pedagogical activity as a prominent researcher of physical education issues are discussed and given in the work. His researches are very relevant and important even today, in modern conditions.

Key words: physical education, school hygiene, preventive gymnastics, student work.

ომარი ცხადაძე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პედაგოგიკის დოქტორი

**ტურიზმი მოსწავლე-ახალგაზრდობის ყოველმხრივი
აღზრდის საშუალება**

აღზრდის მიზნებიდან გამომდინარე ყოველმხრივი აღზრდა აერთიანებს გონებრივი, ფიზიკური, მორალური, ესთეტიკური და შრომითი ჩვევების კომპონენტთა ერთიანობას. წინამდებარე შრომის მიზანია შეეჩერდეთ მხოლოდ ფიზიკური აღზრდის საშუალებათა იმ შემადგენელ ნაწილზე, როგორცაა ტურიზმი.

ტურიზმი ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასა და მცირე საბჭოთა ენციკლოპედიაში განმარტებულია შემდეგნაირად: „ტურიზმი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს გასეირნებას, მოგზაურობას. იგი აქტიური დასვენების ერთ-ერთი სახეა. ტურიზმი განათლების, ჯანდაცვის, ფიზიკულ-ტურის ნაწილი და პიროვნების სულიერი, კულტურული და სოციალური განვითარების საშუალებაა.“[1] აღნიშნული დებულება მიგვანიშნებს მასზე, რომ ტურიზმი, როგორც ფიზიკური აღზრდის საშუალება, ძირითადად აერთიანებს განათლებისა და აღზრდის ყველა იმ კომპონენტს,

რომლის მიზანმიმართული გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერი და მორალური თვისებების ჩამოყალიბებას, მათ მომზადებას დამოუკიდებელი შრომისათვის, რაც ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა.

ტურიზმი არის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცხოვრებისეული გამოცდილების, მატერიალური და კულტურული მემკვიდრეობის ახალ, მომავალ თაობაზე გადაცემის უმნიშვნელოვანესი გზა. იგი ხელს უწყობს ღირებულებითი ორიენტაციების შექმნა ჩამოყალიბებას. განსაკუთრებულ როლს ასრულებს და ეხმარება მოსახლეობის ფართო ფენებს გონებრივი, ფიზიკური, კულტურული, მორალური და შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

ტურიზმი წარმოიშვა და განვითარდა, როგორც მიმართულება, საზოგადოებისათვის მეტად საჭირო და აუცილებელ სოციალურ მოთხოვნილებად. იგი ჩამოყალიბდა ხალხის ჰარმონიული განათლებისა და განვითარების ერთ-ერთ უტყუარ, აუცილებელ მნიშვნელოვან საშუალებად.

აღორძინების ეპოქის დიდმა მოაზროვნეებმა ხუან ლუის ვივეისმა (ესპანელი ფილოსოფოსი, პედაგოგი), მიშელ დე მონტენმა (ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი), თომას მორმა (ინგლისელი მოაზროვნე და მწერალი), ფრანსუა რაბლემ (ფრანგი მწერალი, ექიმი და ფილოსოფოსი) და ერაზ როტტერდამსკიმ (ჰოლანდიელი ფილოსოფოსი და მოაზროვნე) ჩამოაყალიბეს რა თავიანთი მოსაზრებები ტურიზმზე, როგორც ლაშქრობისა და მოგზაურობის საშუალებით ახალგაზრდობის ყოველმხრივი აღზრდისა და განათლების განსაკუთრებულ როლზე, მათ ორგანიზაცია გაუკეთეს სკოლებს, დანერგეს სხვადასხვა მოძრაობითი სავარჯიშოები. მათი მოსწავლეები ჯანმრთელობის განსამტკიცებლად ხშირად დადიოდნენ მრავალდღიან ტურისტულ ლაშქრობებზე სხვადასხვა მწელიად მისასვლელ ადგილებზე, მათ შორის ალპების მთებში, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი და უმაღლესი მთათა სისტემაა.

ტურიზმს, როგორც მოგზაურობის, გადაადგილების, ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას, განსკუთრებული ყურადღება მიაქცია და თავისი უმნიშვნელოვანესი მოსაზრებები გამოთქვა მე-17 საუკუნის

გენიალურმა ჩეხმა პედაგოგმა, პედაგოგიური მეცნიერების ფუძემდებელმა, დიდმა მოაზროვნემ, ხალხთა შორის მშვიდობისათვის გულმოდგინე მებრძოლმა იან ამოს კომენსკიმ. იგი იყო პირველი მასწავლებელი, რომელმაც მეცნიერულად ჩამოაყალიბა ტურისტული მოგზაურობის აღმზრდელობითი სიკეთე და ხაზგასმით წერდა: „ბავშვთა მოგზაურობას ბუნებაში დიდი სარგებლობა მოაქვს მოზარდის სულის ჩამოყალიბებაში“.[2] აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ განათლების მიღების მიზნით მოგზაურობის გამოყენების მეცნიერება დაიწყო თავად განათლების მიღებასთან ერთად. პროფესორი დ.ლორთქიფანიძე მის მიერ გამოცემულ წიგნში იან ამოს კომენსკი წერდა. კომენსკი დაწვრილებით საუბრობდა მოგზაურობის საშუალებით გაჯანსაღებასა და საგანმანათლებლო მნიშვნელობაზე. „დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოგზაურობას, როგორც ცოდნის გაფართოების აუცილებელ საშუალებას და მიაჩნდა ის განათლების უმაღლესი საფეხურის აუცილებელ ნაწილად. ამიტომ შემთხვევით არაა, რომ სწავლების უმაღლეს საფეხურს აკადემიებისა და მოგზაურობის საფეხური უწოდა.“[3]

მოგზაურობის და მისი განვითარების საშუალებები ეფუძნება ადამიანის ბუნებრივ სურვილს, შეიცნოს მის ირგვლივ არსებული სამყარო. ფეხით გაიაროს ჯერ კიდევ უნახავი, აუთვისებელი, ძნელად გაუვალი გზები. დაინახოს უნიკალური ბუნებრივი სამყარო, საკუთარი თვალთ, გამოსცადოს პირადი წვდომა მასთან, სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობები. მოგზაურობას, განსაკუთრებით ფეხით სიარულს და მათ შორის ფეხშიშველ გადაადგილებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენი წინაპრები, ჯანმრთელობის განმტკიცების თვალსაზრისით.

ძველ საბერძნეთში, მოგზაურობა და ფეხშიშველა სიარული თავისებურ კულტურად იყო მიჩნეული. პლუტარქეს მიხედვით, ცნობილი ფილოსოფოსი სოკრატე „აზრის გამახვილების“ მიზნით ძალიან ხშირად ფეხშიშველი დადიოდა და ამასვე მოითხოვდა თავის მოსწავლეებისაგან. მე-17 საუკუნის ცნობილი პედაგოგი, ჰუმანისტი ჯონ ლოკი ახალგაზრდობის ჰარმონიული აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად ფეხშიშველა სიარულს თვლიდა.

ალექსანდრე სუვოროვი თუნდაც ძლიერ ყინვაში ფეხშიშველა დასეირნობდა, შემდეგ კი ტანზე ივლებდა ცივ წყალს. ამით დაძლია მან თავისი თანდაყოლილი უძლურება. მეტც, გამოიყურებოდა „ზეზუნებრივ არსებად“. მეუღლის პროტესტის მიუხედავად, მისი ქალიშვილიც, მამის მოთხოვნით, ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ფეხშიშველა დარბოდა გლეხის გოგონებთან.

ფეხშიშველა სიარული, როგორც მრავალი დაავადების პროფილაქტიკის და მკურნალობის ეფექტური საშუალება, სამკურნალოდ პირველად გამოიყენა მე-19 საუკუნის ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, ჰიგიენისტმა სებასტიან კნეიპმა. თავის წიგნში- „წყლით ჩემი მკურნალობა“, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. იგი იგონებს, რომ ზამთარ ზაფხულ სკოლაში ფეხშიშველა დადიოდა, ჩექმებს მხოლოდ შესასვლელთან იცვამდა. „გაზაფხულობით დავსეირნობდი გუბებზე-იყო სიმხიარულე და სიამოვნება და ჩვენ ჯანმრთელი ვიყავით. შემდეგ მას მოჰყავს იმის მაგალითები, თუ როგორ კურნავდნენ სხვადასხვა დაავადებებს წყლის პროცედურებით, ცვრიან ბალახზე, სველ ქვებზე, დათოვლილ ადგილებზე ფეხშიშველა სიარულით“[4]

დღეს გერმანიის, ავსტრიის, ფინეთის, საფრანგეთის და ინგლისის მრავალ სანატორიუმებში ჯანმრთელობის განმტკიცების მიზნით სისტემატიურად გამოიყენება კნეიპის მეთოდები. იქ წარმატებით მკურნალობენ ბევრ სხვადასხვა დაავადებას სპეციალური სარბენი ბილიკით. ფიზიოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ფეხის გულები ადამიანის ორგანიზმის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრი რეფლექსოგენური ზონებია. გამოკვლევით დადგინდა, რომ ფეხის გულები 72 ათასი ნერვული დაბოლოების გამანაწილებელი ფარია და მათი მეშვეობით კავშირი მყარდება სხეულის ნებისმიერ ნაწილთან. შედეგი ისაა, რომ გადაადგილება ფეხით, მათ შორის ფეხშიშველა სიარული, ეს თავისებური წერტილოვანი მასაჟია და ატონიზირებს ორგანიზმს, ხელს უწყობს აქტიური მდგომარეობის შენარჩუნებას.

ფეხშიშველა სიარული კარგი საშუალებაა ბრტყელტერფიანობის ლიკვიდაციისათვის, რომელიც დღეს მოსწავლეთა და სკოლამდელთა ასაკის ბავშვთა 40 პროცენტს აწუხებს. ჩვენ ქუთაისის 32 საშუალო

სკოლაში მუშაობის დროს ურჩევდით მშობლებს, არდადეგების პერიოდში, ზაფხულობით ბავშვებისათვის არ დაეშალათ ფეხშიშველა სიარული. ფეხშიშველა სიარულისას ადამიანი განიცდის სიამოვნებას, იზრდება თითქმის ყველა კუნთის ინტენსიობა მთელ ორგანიზმში. სტიმულირდება სისხლის მიმოქცევა, უმჯობესდება გონივრული საქმიანობა, კაჟდება ორგანიზმი, ჯანმრთელობა. ამდენად, ფიზიკური აღზრდის საშუალებათა შორის სიარულს, მათ შორის ფეხშიშველა გადაადგილებას გამოკვეთილი ადგილი შეიძლება მიეკუთვნოს. ამას ადასტურებს მშობელთა არაერთი სამადლობელი წერილი, რომელიც სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა სახელზეა მოსული.

იმერეთის მხარის სკოლებში, განსაკუთრებით მე-7 საშუალო სკოლაში, სკოლის მთელ პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა მიაღწიეს იმას, რომ აღარავის ეხამუშებოდა, როცა მოსწავლეები სკოლის ეზოში ხშირად ფეხშიშველა გამოდიოდნენ. დარბოდნენ, ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, თამაშობდნენ ფეხბურთს, რაგბს, ძლევენ სხვადასხვა წინააღმდეგობებს. მშობლები მალე დარწმუნდნენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფეხშიშველა სიარულს ორგანიზმში ავადმყოფობის დასაძლევად და ჯანმრთელობის გასაკაჟებლად.

ფეხშიშველა სიარულით ორგანიზმის გამოწრთობის მიზნით, ცნობილი ჰიგიენისტის, სებასტიან კნეიპის მიმდევარი იყო გამოჩენილი რუსი მწერალი და განმანათლებელი ლევ ტოლსტოი. იგი დიდად დაინტერესებული ყოფილა ტურისტული გასვლებით. ფეხით სიარულს ხშირად უნაცვლებდა ველოსიპედით გადაადგილებას. ცნობილი მწერალი სხეულის გასაკაჟებლად სისტემატიურად მიმართავდა სხვადასხვა გამაჯანსაღებელ საშუალებას. მას ისე ყვარებია მოგზაურობა ველოსიპედით ტულაშიც კი ჩასულა და იქაურ ველოტრეკზეც გამოსულა. ასევე, განსხვავებით ტოლსტოისაგან, ფეხით სიარულის, მოძრაობისა და თამაშის დიდი მოტრფიალე იყო ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი.

აკაკი („ჩვენი თავგადასავალი“) იგონებს: „საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ სპარტანულად გვზრდიდნენ, არ გვარიდებდნენ არც სი-

ცივეს, არც დარს და არც ავდარს. დილაობით ცვრიან ველზე ფეხშიშველას უნდა გვერბინა. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, ფიფქზე რამდენჯერმე უნდა გაგვერბინა, გამოგვერბინა. დასველებული და სიცივისაგან დაჭარხლებული ფეხები ცეცხლზე უნდა შეგვევრო. დარწმუნებული ვიყავით, რომ ამით ჯანმრთელობა მოგვემატებოდა.“[5] აკაკი ისევ ფეხშიშველა გადაადგილებაზე და მის სიკეთეზე ყვება: „გათენდებოდა თუ არა უქუდოდ ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსებისაკენ და დაღამებამდე იქ ვრჩებოდი...აგერ კრავები კუნტრუმობენ, თიკნები დახტიან... გოჭები ჭიდაობენ, კვიციები კოტრიალობენ და სხვანი-სულ მრავალფერაობა და სხვადასხვა სანახაობა... უყურებს ბავშვი და თვითონაც გულშეკმნილი, ხტის და თამაშობს!...ამაებს ყველას მოკლებულია ქალაქელი.“[6]

მეტად საინტერესო, მისაბამი და საამაყო გზა განვლო გამოჩენილმა ქართველმა მათემატიკოსმა, მეტალურგმა, ქიმიკოსმა, ფიზიკოსმა, გეოგრაფმა, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორმა, სპორტსმენმა ტურიზმისა და სპორტული მოძრაობის ფუძემდებელმა , ტანმოვარჯიშემ, მოგზაურმა და მთასვლელმა გიორგი ნიკოლაძემ. მას მამამ პირველმა შეამჩნია დაინტერესება გეოგრაფიით და შეადგინეს მოგზაურობის კომბინირებული გრაფიკი. უნდა აღინიშნოს, რომ დაძაბულმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ, სპორტულმა საქმიანობამ, საქართველოში ალპინიზმისა და ტურიზმის ორგანიზაციამ, ასევე სხვა მრავალმა ფაქტორმა, რომელსაც იგი არასოდეს უშინდებოდა გ.ნიკოლაძე ვერ ჩამოაშორა მეცნიერულ საქმიანობას და ამ მიმართულებით აგრძელებდა კვლევა ძიებას. დაინტერესებული იყო რა მოგზაურობით იგი ახალშერთულ მეუღლესთან ერთად 1928 წელს საქორწილო მოგზაურობაში მეუღლესთან ერთად ველოსიპედით გაემგზავრა საფრანგეთსა და იტალიაში, არა მხოლოდ როგორც ტურისტი, არამედ ელექტროქიმიურ და ელექტრომეტალურგიულ საწარმოთა გასაცნობად. აქვე მან პირინეებიც მოინახულა. მას როგორც ყოველმხრივ განვითარებულ მეცნიერს აინტერესებდა ბასკების გენეზისი და ქართველებთან მათი სავარაუდო ნათესაური კავშირები.

გიორგი ნიკოლაძის მეცნიერული საქმიანობა და ტურიზმის სიყვარული უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა უფრო ღრმად გავეცნოთ ქვეყნის ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას, გაუღვიძოს მოსწავლე

ახალგაზრდებს ეროვნული იდენტურობის გრძნობა და აღზარდონ პატივისცემა და სიყვარული მშობლიური ქვეყნის მიმართ.

ტურიზმი მოსწავლე ახალგაზრდების ყოველმხრივი განვითარების მნიშვნელოვანი მხარე რომ არის, ამაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ცნობილი უკრაინელი პედაგოგი, სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ონუფრიევსკის რაიონის სოფელ პავლიშის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი ვასილ სუხომლინსკი. იგი მიიჩნევდა ტურიზმს, როგორც განათლების ყოვლისმომცველ საშუალებას, სადაც ბუნებრივ პირობებში შეიძლება გადაწყდეს ადამიანის ფიზიკური და გონებრივი ძალების აღდგენა, ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესება. მან მოსწავლეთა მშობლებთან ახლო კავშირით მიაღწია დღის რეჟიმის სწორად დაცვას: „მისი აღსაზრდელები საგაზაფხულო და საზამთრო არდადეგებს ატარებდნენ სუფთა ჰაერზე, ბუნების წიაღში, ლაშქრობებში, ტყეში. იგი ხშირად ბავშვებთან ერთად მიდიოდა ტყეში, ტურისტულ ლაშქრობაში, თუ მდინარეზე“. [7] ბავშვთა ყველა ტურისტულ გადაადგილებას აძლევდა ორგანიზებულ ხასიათს. იგი ამბობდა: „ტურიზმის დროს მტკიცდება ფიზიკური ძალები, რაც ხელს უწყობს ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებას. ბავშვები ხედავენ ბუნებას მთელი თავისი სილამაზით.“[8] ვასილ სუხომლინსკიმ, როგორც სკოლის დირექტორმა, სპეციალურად შეისწავლა რა სასკოლო ასაკობრივი ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, ანატომია და ჰიგიენა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სუფთა ჰაერზე, ტყეში, მდინარის პირზე, თუ მთაში, მოსწავლეთა ტურისტული გასვლის დროს ძლიერდება კუნთური, ძვლოვანი და ნერვული სისტემა; უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა და ნივთიერებათა ცვლა. სწორი რეჟიმი, სუფთა ჰაერზე ყოფნა, სრულყოფილი კვება და ტურისტული ლაშქრობა ტყეში თუ მდინარის პირას სჭირდება მოზარდს ავადმყოფობისაგან თავის დასაცავად. ამიტომ, მისი მისწრაფებაა - ბავშვები აზიაროს ბუნებას. თუმცა, მისი ასეთი მიაწრაფება ზოგიერთ სკოლის მასწავლებელს ვ.სუხომლინსკის ახირობად მიაჩნდა. „მართლაც და, ამბობენ დაეჭვებით,-რად ესაჭიროებათ მთელი ეს ლაშქრობები ტყეში, მინდორ - ველად, ბუნების წიაღში სოფლის ბავშვებს. ისედაც ხომ მთელ წელიწადს ბუნების წიაღში ცხოვრობენ? ქალაქელებისათვის ეს

საკვირველებაა, ჩვენი ბავშვები რას ნახავენ მინდორში, ბაღში ან ტყეში?“[9] მაგრამ სუხომლინსკი თანდათან არწმუნებდა სკოლის მასწავლებლებს და მშობლებს, რომ ასეთი ტურისტული გასვლები ბავშვთა ჰარმონიული აღზრდისათვის აუცილებელი იყო. უფრო მეტი, მშობლიური მხარის შესწავლის მიზნით, იგი სისტემატიურად აწყობდა ტურისტულ გასვლებს მდინარე დნეპრის ნაპირზე. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ შესვენების დროს ბავშვებს სისტემატიურად უტარებდა საჭირო საუბრებს: „სადაც არ უნდა ვყოფილიყავით ჩვენ ბანაკში თუ მოგზაურობაში, მე ყოველთვის ვნახულობდი შესაძლებლობას ბავშვებისთვის მიმეცა დასვენების საშუალება, არ გადამეტვირთა ისინი.“[10] ასეთი მოგზაურობის, თუ ლაშქრობის დროს იგი ყოველთვის ახერხებდა ბავშვებთან სიახლოვეს, მათთან ახლოს ყოფნას, ბავშვებისათვის გულის მიცემას: „ო, ყველანი როგორ გაზრდილხართ ამ ორ თვეში? უხარია მას. რას აკეთებდით აქ უჩემოდ? ყველაფერი მოასწართ, რასაც დამპირდით? ახალი ლაშქრობისათვის მზად ხართ?“[11] იგი ცდილობდა, ისე შეეყვანა პატარები გარესამყაროში, რომ მათ იქ ყოველდღე ეპოვათ რაღაც ახალი. იგი ამბობდა, რომ ჩვენი თითოეული ნაბიჯი იყოს მოგზაურობა აზროვნებისა და მეტყველების სათავეებისაკენ, ბუნების მშვენიერებისაკენ. ამით იგი ისევ და ისევ წინ წამოწევდა ტურისტულ გასვლებს ბავშვის მდებლობაზე ტყესა თუ პარკში გასეირნების აუცილებლობას, მათ ურთიერთკავშირს ბუნებასთან. ამის გამო იყო, რომ დიდი პედაგოგი ბავშვთა და მოსწავლეთა ყოველმხრივი აღზრდის საქმეში განუზომელ როლს ანიჭებდა ტურისტულ გასვლას სუფთა ჰაერზე, მდინარის პირას, ტყეში. იგი თითოეულ ტურისტულ მოგზაურობას, ბუნების წიაღში, საკლასო ოთახში გაკვეთილის ჩატარებაზე უფრო ძნელ საქმედ მიიჩნევდა. და ბოლოს, ამბობდა იგი: „მე მშურდა კლასის დამრიგებლის-ისინი მუდამ ბავშვებთან არიან...ანდა ტყეში, მდინარეზე, თუ ველზე გასასვლელად სამუშაოთი არიან გართულნი. ბავშვები მოუთმენლად ელიან იმ დღეს როცა ტურისტულ ლაშქრობაზე წავლენ, დაუდარაჯებენ ვარსკვლავთა ციმციმს“.[12]. ვ.სუხომლინსკი მოუწოდებდა ბავშვებს, რომ ტურისტები არიან ადამიანები, რომლებსაც უყვართ მოგზაურობა და ლაშქრობა. ჩვენ ტურისტები, ამხნევენ და იგი ბავშვებს, ვართ ძლიერი, გამძლე ადამიანები და სიმძლეების

არ გვეშინია. ბავშვებთან სიახლოვით მან მიაღწია გული მათთვის მიეცა და იგი მათი საუკეთესო მეგობარი ყოფილიყო: „ჩვენ ვდგებოდით განთიადისას, -ამბობდა იგი,- ვტკბებოდით ახლადგამოღვიძებული ბუნების განუმეორებელი სილამაზით, დავეხეტებოდით ცვრიან მინდორში, პირს ვიბანდით წყაროს ცივი წყლით, რომელიც ხის კასრებით მოგვეკონდა და პირსაბანსი ვასხამდით. ყოველივე ეს - დილის ვარჯიში თუ ცივი წყლით ტანის ზეღვა, დიდ კმაყოფილებას გვრიდა ბავშვებს. საუზმის შემდეგ ვშრომობდით, ვეხმარებოდით კოლმეურნეებს ნესვებისა და საზამთროების აღებაში“[13] ამისთვის არის მოგზაურობა და ტურიზმი, მისი დადებითი გავლენა ადამიანის, კერძოდ ბავშვის თვითგანვითარებასა და პასუხისმგებლობაზე, საკუთარი თავისა და მეგობრების მიმართ. რომ ტურიზმი არის განათლების ყველაზე გამორჩეული სახეობა, ჯანმრთელი და გამოცდილი, შრომისმოყვარე ადამიანების აღსაზრდელად.

ტურიზმზე და მის დანიშნულებაზე მეტად საინტერესოა აკადემიკოსის ნათელა ვასაძის რჩევები. იგი წერს: „განსაკუთრებით დიდია ტურიზმის როლი მოსწავლეთა აღზრდის საქმეში, მათი ზოგადი განათლებისა და გაკაჟებისათვის. მისი საშუალებით მოსწავლეები ეცნობიან მშობლიურ მხარეს, ისტორიულ და კულტურის ძეგლებს, ტკბებიან ბუნების სილამაზით, ამასთანავე კაჟდებიან ფიზიკურად და სულიერად, იძენენ გამძლეობის, სიძნელეთა გადალახვის და თანატოლებთან თუ უფროსებთან სრულიად ახალი ურთიერთობების გამოცდილებას.“[14]

როგორც ცნობილი ადამიანების ნააზრებიდან ჩანს, ტურიზმი სულ უფრო ხშირად გამოიყენება, როგორც აქტიური დასვენების საშუალება, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდის ჰარმონიულ განვითარებას, ჯანმრთელობის განმტკიცებას, ბავშვის კულტურული დონის ამაღლებას და თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებას. ტურიზმის საშუალებით ყველა ასაკის ადამიანი იკაჟებს ჯანმრთელობას. განსაკუთრებით ხანგრძლივი ფიზიკური აქტივობა, თუ იგი დაკავშირებულია მთებზე ფეხით ასვლასთან, თხილამურებით ან ველოსიპედით გადაადგილებასთან, ნიჩბოსნობასთან, ღია ცის ქვეშ ხანგრძლივ ყოფნასთან ხელს უწყობს სხეულის გამოწრთობას. ტურიზმის სისტემატიური გამოყენება არის ადამიანის სულიერი ცხოვრების და მშვენიერების აღქმის შესანიშნავი საშუ-

ალეზა. შესაძლებლობა არის შეხვდეთ და გაიცნოთ ახალი ადამიანები, გაუზიაროთ აზრები, მიიღოთ ინფორმაცია თქვენთვის საინტერესო საკითხებზე. საშუალება გეძლევათ დაუფლოთ თქვენთვის ჯერ კიდევ უცხო ინფორმაციებს სხვადასხვა საკითხებზე. შეისწავლოთ სხვა ხალხების ისტორია, კულტურა, გეოგრაფია და გაიფართოვოთ ცოდნის დონე.

რა მდგომარეობაა დღეს ჩვენი ქვეყნის სკოლებში. რისთვის არის მივიწყებული კომპლექსური ტურისტული გასვლები, სხვადასხვა საგნის მასწავლებლების ჩართულობით? ან რატომ დაივიწყეს საველე პირობებში ტურისტული გასვლები და იქ გაკვეთილების ჩატარების ეფექტური საშუალებები? დღეს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მწელი არ არის. მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობას რომ ვართმევთ გაჯანსაღებისა და გამოწვრთობის მეტად აუცილებელ საშუალებას ეს ჩვენი სკოლების ხელმძღვანელთა და პედაგოგიური კოლექტივების ინერტულობაზე მიგვანიშნებს. დღეს იშვიათად თუ ნახავთ მოსწავლეს, რომელიც სკოლაში ფეხით მიდის. კატასტროფულად იმატა ავტომანქანებით მშობლების მიერ ბავშვების სკოლაში მიყვანამ. შედეგიც სახეზეა, გაიზარდა ბავშვთა წონაში მატება, უმოდრაობით გამოწვეულმა სიზანტემ და უძღურებამ კატასტროფულ სიმაღლეს მიაღწია. თუ შევადარებთ 10-20-30-40 წლის წინანდელ ბავშვს ასაკის მიხედვით, ნათლად ჩანს უმოდრაობით გამოწვეული ნაკლოვანებები. მოვიყვანთ ერთ მაგალითს ქუთაისის 32 საშუალო სკოლის გამოცდილებიდან. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს მჭიდრო საქმიანი კავშირი ჰქონდათ დამყარებული სკოლის დირექტორთან, მოსწავლეთა მშობლებთან, სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან, ექიმთან და შეფ ორგანიზაციასთან, საავტომობილო ქარხნის ხელმძღვანელობასთან. ტურისტული გასვლა შეფარდებული იყო მოსწავლეთა ასაკთან. ტურისტული ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო საჭირო მედიკამენტებით. ზურგჩანთებში მოსწავლეებს თან ჰქონდათ მსუბუქი საკვები. ტურისტული ლაშქრობის დროს მოსწავლეებმა გაიცვნიეს მოწინავე ადამიანები, შრომის, სამამულო ომისა და განათლების სფეროს უხუცესები, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სოციალისტური შრომის გმირები, ნოვატორები. (მაშინ საავტომობილო ქარხანა შეფობას უწევდა 32-ე სკოლას). ტურისტულ გასვლაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ გეოგრა-

ფიის, ისტორიის და მათემატიკის მასწავლებლები. სკოლაში დაბრუნების შემდეგ მოსწავლეები ადგენდნენ შთაბეჭდილების ჩანაწერებს. მსგავსი ღონისძიებების ჩატარება, რაც ტურისტულ გასვლებთან იყო დაკავშირებული დადებითად მოქმედებდა მოსწავლე ახალგაზრდობის ყოველმხრივ აღზრდაზე, მათი ხასიათის განმტკიცებაზე, ესთეტიკურ გრძობებზე და განწყობაზე. ისინი ახალი, განახლებული ენერგიით, კარგი გუნება-განწყობით, ბრუნდებოდნენ სკოლაში და აგრძელებდნენ სწავლას.

ჩვენი მოწოდებაა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, ყველა მასწავლებლისა და მშობლისადმი, აღვადგინოთ ძველი ტრადიციები. ტურიზმის საშუალებით დაუბრუნოთ მოსწავლე-ახალგაზრდობას ჯანმრთელობა და ყოველმხრივი აღზრდის გზები და საშუალებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.10 მთავარი რედაქტორი ირ. აბაშიძე, თბილისი, 1986 წ. გვ.79. Малая советская энциклопедия, т. 9. третье издание. Главный редактор В.А.Введенский, Москва, 1960 г. Стр. 586.
2. Губаненков С.М. Спортивный туризм в системе образования. Изд. дом „Петрополис“, 2008 г. Стр.196
3. ლორთქიფანიძე დ. იან ამოს კომენსკი. გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1964 წ. გვ. 246
4. იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი. „საზრისი“, შრომების კრებული 11, თბილისი 2003 წ. გვ.131
5. წერეთელი აკაკი, თხზულებანი. გამომცემელი „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1980 წ. გვ. 743
6. წერეთელი ა. თხზულებათა ტომი 4. თბილისი, 1948 წ. გვ. 12-13)
7. იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი. „საზრისი“, შრომათა კრებული 8. გვ.44

8. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ონლაინ სწავლება კოვიდ 19-ის პირობებში და განათლების სისტემა“. 20 ნოემბერი, 2021 წ. თბილისი, გვ.64
9. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „პროფესიონალის ხმა“, ქუთაისი, # 3-4(1), 2014 წ. გვ. 26.
10. Сухомлинский В.А. том первый. Москва, „Педагогика“, 1979 г. Стр. 342
11. ტარტაკოვსკი ბორის, „ამბავი მასწავლებელ სუხომლინსკისა“, თბილისი, „განათლება“, 1982 წ. გვ. 75
12. სუხომლინსკი ვ. „გულს ვუძღვნი ბავშვებს“, თბილისი, „განათლება“, 1980 წ. გვ.5-6
13. ბასილაძე ნოდარ. ვ.ა.სუხომლინსკი-ჩვენი თანამედროვე. ბათუმი, 1990 წ. გვ.71
14. ვასაძე ნათელა. საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია „პედაგოგიკა“, თბილისი, 2000 წ. გვ.210

ომარი ცხადამე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პედაგოგიკის დოქტორი

ტურიზმი მოსწავლე-ახალგაზრდობის ყოველმხრივი აღზრდის საშუალება რეზიუმე

შრომამი საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ აღვადგინოთ ძველი ტრადიციები. ტურიზმის საშუალებით დაუბრუნოთ მოსწავლე-ახალგაზრდობას ჯანმრთელობისა და ყოველმხრივი აღზრდის გზები და საშუალებები.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული გასვლები, ტურიზმის სამყარო, ფეხით სიარული, ძველი ტრადიციები, ყოველმხრივი აღზრდა.

Омари Цхададзе

Ректор учебного университета Академии наук туризма Грузии,
доктор педагогических наук

Туризм – средство всестороннего воспитания учеников и молодежи.

Резюме

Работа о том, как восстановить старые традиции. С помощью туризма вернуть учеников и молодежи пути и средства оздоровления и всестороннего образования.

Ключевые слова: туристические поездки, мир туризма, прогулки, старинные традиции, всестороннее образование.

Omari Tskhadadze

Rector of the Educational University of the Academy of Tourism
Sciences of Georgia, Doctor of Pedagogy

Tourism is a means of all-round education of pupil and youth

Summary

The work is about how to restore old traditions. By means of tourism, to return to pupil-youth the ways and means of health and all-round education.

Key words: tourist trips, the world of tourism, walking, old traditions, all-round education.

ლუარა დოღობერიძე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

სოფელი კინჩხა და ოკაცეს ხეობის ტურისტული მომავალი

სოფელ კინჩხაზე ძალიან მოკლე განმარტებას იძლევა ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: „სოფელი კინჩხა მდინარე ოკაცეს ხეობაში მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. აქვეა სოფლები: ზედა კინჩხა, კინჩხაფერდა, რონდიში, საწისქვილო, ქვედა კინჩხა...გორდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, ხე-ტყის სახერხი საამქრო, საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკა, კლუბი, მედპუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმულობის განყოფილება“ [1]. დღეს სოფელი კინჩხა ხონის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია, ზღვის დონიდან 760 მეტრზე. სოფელში არის კინჩხას საჯარო სკოლა, რომელიც მოსწავლეთა სწავლა აღზრდის მაღალ დონეზე დაყენებით მთელ რაიონშია გამორჩეულია.

ძველად სოფელში 600 კომლი ცხოვრობდა ახლა ორასამდეა. ის დასახლებულია სამეგრელოდან, ლეჩხუმიდან, სვანეთიდან, რაჭიდან და შიგა იმერეთიდან მოსული გვარებით: ჯიშკარიანები, ჯანელიძეები, უგულავები, კუხალაშვილები, ქაროსანიძეები, ცნობილაძეები, იობიძეები, ომანაძეები, კირთაძეები, ხურცილავები, ჩხეიძეები. აღსანიშნავია, რომ კინჩხაში ელექტროენერგია მოსახლეობას მიეწოდებოდა მანამდე, ვიდრე მოხდებოდა სოფლის ერთიან ქსელში ჩართვა. მცირე ელექტრო სადგური დამონტაჟებული იყო მდინარე ოკაცეზე. ჩრდილო-დასავლეთიდან სოფელს თავს დაჰყურებს ზღაპრული სილამაზის კინჩხის და თურჩის მთები, მდინარეების ნაბეჩოს და ოკაცეს თეთრათ მოკამკამე ჩანჩქერები, უფრო დასავლეთიდან ბუნების საოცრება, «კლდეიდას» ჟანგისფერი უფრსკული. თვით ასხის მთა, რომელიც კინჩხის ჩრდილოეთითაა სიმაღლით 2440 მეტრს აღწევს,ჯოგების საზაფხულო საბალახოა. ამ ხასხასა, მწვანე ბალახით დაფარული ვეება პლატოს ქვეშ რამდენიმე მიწისქვეშა ნაკადი გაედინება და ქმნის შესანიშნავ კარსტულ მღვიმეს, მათ შორის ყველაზე გრანდიოზულია პროფესორ არსენ ოქროჯანიშვილის სახელობის მღვიმე. ის მარტვილის მხარესაა, მდინარე ჯორყუს გასადინარში. კინჩხა მდიდარია მდინარე ოკაცეს ხეობის ულამაზესი ხედე-

ბით, იგი საქართველოში ერთ ერთი ულამაზესი ადგილია და ამ ადგილს დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. სოფელ კინჩხაში შეგიძლია ნახოთ უძველესი სამლოცველო - სამსხვერპლო, ეკვდერი, ჯვრის ტიპი სამარხ-სარკოვანებით, მრავალსაუკუნოვანი ურთხმელის ხეებით, მაცხოვრის ეკლესია, გვიანი შუა საუკუნის წმინდა გიორგის ეკლესია, შუა საუკუნის ტარემის ეკლესია და აკლდამა, ნაქალაქარი, კანიონი, რომელიც მსოფლიოს უდიდეს კანიონებს შორის გამორჩეულია. ადრე აქ, რამოდენიმე წლის წინათ არც ერთი მისასვლელი გზა არ იყო კანიონამდე, ფეხით ან ცხენით, ავტოტრანსპორტზე საუბარი ზედმეტი იყო. აქ რომ მისულიყო ტურისტი ან ბუნების სიმშვენიერით დაინტერესებული პირი, დიდი ძალისხმევა იყო საჭირო, ეს უკვე პრობლემად რჩებოდა. ამ სოფელს განსაკუთრებული ყურადღება, დახმარება და მოვლა რომ უნდოდა ეს ზედმიწევნით კარგად გაითვალისწინა ქვეყნის ხელმძღვანელობამ და დღეს აქ გაკეთდა ის რაც სოფელ კინჩხას და ოკაცეს ხეობას ტურისტებისათვის მეტად საყვარელ და მიმზიდველ ადგილად წარმოგვიდგენს. ეს კი საქართველოში ტურიზმის განვითარების და ეკონომიკური დოვლათის ზრდის საუკეთესო საშუალება გახდა. აქ უკვე დამთვალიერებელთა განკარგულებაშია საქართველოში პირველი და ერთადერთი კიდური ბილიკები, რომელიც ოკაცეს ხეობას თავისი მდიდარი ტბებითა და ჩანჩქერებით კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის. კანიონს უფრო ალამაზებს მდინარის სიგრძე, რომელიც 14 კ.მეტრზეა გადაჭიმული. კანიონის სიამაყეა ჩანჩქერი, მისი სიგრძე 60 მეტრს აჭარბებს. კანიონის მღვიმეებიდან მოედინება კარსტული წყლები. მის სანაპიროზე ვხვდებით სხვადასხვა ჯიშის ბუჩქნარებს და ბზის ხეებს. ტურისტებს შეუძლიათ მთაში მწყემსებთან ერთად კარავში გაათიონ ღამე, დატკბნენ ბუნების სიმშვენიერით. აქვე ნახავენ მწყემსების მიერ დამზადებულ სულგუნს და და სიამოვნებით დააგემოვნებენ მას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით ადგილზე მოეწყო ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, ბილიკები, პლატფორმები, აშენდა ვიზიტორთა ცენტრი. ექსტრემალური ტურების მოყვარულთათვის ოკაცეს კანიონზე კიდული ბილიკია მოწყობილი, რომლის გავლას დაახლოებით 2-3

საათი სჭირდება. საფეხმავლო მარშრუტი დადიანების ისტორიულ ტყე-პარკსა და 780 მ სიგრძის კიდულ ბილიკს გაივლის და პანორამული გადასახედით სრულდება, სადაც ვიზიტორებს იქვე დამონტაჟებული სმარტ-სელფის აპარატით სამახსოვრო ფოტოსურათის გადაღება შეუძლიათ. ოკაცეს კანიონის ბილიკის საფარი გამჭვირვალეა, რაც მოგზაურობას კიდევ უფრო ექსტრემალურს ხდის.

სოფელ კინჩხას და ოკაცეს ხეობით დაინტერესებულია საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემია და მისი უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლები. 2010 წლის 8 დეკემბერს ექსპედიციის წევრებმა (ომარი ცხადაძე, გაიოზ ძიძიგური, ვლადიმერ ცხადაძე) „სასწავლო სამეცნიერო ექსპედიცია ჩაატარეს სოფელ კინჩხას ოკაცეს ხეობაში. ექსპედიციის წევრებს მეგზურობას უწევდა სოფელ კინჩხას ადგილობრივი მაცხოვრებელი, პედაგოგი მურთაზ კუხალაშვილი...ექსპედიციის წევრებმა ოკაცეს ხეობაში შენიშნეს დინოზავრის ნაფეხურები, რომლებიც მარტვილის რაიონის სოფელ გაჭედილის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნაფეხურების ანალოგიურია. ექსპედიცია აღმოჩენილით ძალიან დაინტერესდა და მისი სრულად ნათელსაყოფად კვლევა-ძიება გრძელდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მდინარე აბაშის ხეობაში დინოზავრები, სწორედ ამ, ოკაცეს ხეობიდან არიან გადასულნი.“[2]. ექსპედიციის წევრები მხოლოდ ამით არ დაინტერესებულან. ისინი იკვლევენ, სოფელ კინჩხაში არსებულ საუკუნოვანი ურთხელის ჯიშის ხეების ისტორიას, ვინაიდან ეს ხე, რომელიც ხარობს სოფელ კინჩხაში და იზრდება ძალიან ნელი ტემპით, მკვლევართა ინტერესის სფეროშია. აქ არსებული ურთხელის ხე ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით სამ საუკუნეს აღწევს და მისი სიმაღლე 20 მეტრზე მეტია. სოფელ კინჩხაში დიდი რაოდენობით არის ველური ჯიშის მსხალი, მას ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს მრავალი მიმართულებით. კერძოდ, ველური ჯიშის მსხლისგან მზადდება შესანიშნავი ქართული ტრადიციული არაყი.

სოფელ კინჩხაში და ოკაცეს ხეობაში მრავალი უძველესი ქართული ტრადიციის გამოსაკვლევია, რასაც მკვლევარები დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა მოეკიდონ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.„ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“. ტ. 5. გვ. 827. თბილისი, 1980 წ.)
- 2.ლ.ლოლობერიძე, „დინოზავრის ნაფეხურები ოკაცეს ხეობაში“. გაზეთი „პედაგოგიური სამრეკლო“, 29 დეკემბერი, 2010 წ

ლუარა ლოლობერიძე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

სოფელი კინჩხა და ოკაცეს ხეობის ტურისტული მომავალი რეზიუმე

შრომა ეხება სოფელ კინჩხასა და ოკაცეს ხეობის ტურისტულ პერსპექტივებს. აქ მრავალი უძველესი ქართული ტრადიციისაა გამოსაკვლევია, რასაც მკვლევარები დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა მოეკიდონ.

საკვანძო სიტყვები: ოკაცე, კინჩხა, დინოზავრი, ხეობა.

Луара Гогоберидзе

Член Академии наук туризма Грузии.

Деревня Кинчха и туристическое будущее долины Окаце Резюме

Работа касается туристических перспектив села Кинчха и долины Окаце. Здесь предстоит изучить множество древних грузинских традиций, к которым исследователям следует относиться с большой осторожностью и вниманием.

Ключевые слова: Окаце, Кинчха, динозавр, ущелье.

Luara Ghogoberidze

Member of the Academy of Tourism Sciences of Georgia

Kinchkha village and tourism future of Okatse valley

Summary

The work concerns the tourism prospects of Kinchkha village and Okatse valley. There are many ancient Georgian traditions to be explored here, which researchers should treat with great care and attention.

Key words: Okatse, Kinchkha, dinosaur, gorge.

Андрей Орлов, канд. под. наук, доцент, доцент кафедры физической культуры и спорта, Чувашский государственный университет имени И. Н. Ульянова

Марина Шнайдер, канд. пед. наук, доцент, доцент кафедры физической культуры и спорта, Чувашский государственный университет имени И.Н. Ульянова

**ПОКАЗАТЕЛИ АДАПТАЦИОННОГО ПОТЕНЦИАЛА СТУДЕНТОВ
ВУЗОВ ПРИ РАЗЛИЧНЫХ СОЧЕТАНИЯХ ФОРМ ОРГАНИЗАЦИИ
УЧЕБНЫХ ЗАНЯТИЙ ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ**

Введение. Современный этап развития высшего образования характеризуется распространением идей либерализации. Обучающимся вузов предоставляется свобода выбора, как траектории образовательного процесса, так и форм его организации. Применительно к физическому воспитанию студентов это проявилось в том, что в настоящее время в некоторых вузах распространяется практика перевода до 50% учебных часов предусмотренных рабочими программами по физической культуре в самостоятельную форму организации. Декларируется, что это создаст условия к реализации лично-ориентированного подхода, при котором обучающиеся вузов по своему усмотрению будут выбирать наиболее предпочтительные виды двигательной активности, и как следствие это приведет к повышению продуктивности системы физического воспитания в вузах. Без-

условно, выдвинутое предположение требует экспериментальной проверки, для чего на базе чувашского госуниверситета имени И. Н. Ульянова было проведено исследование, **целью** которого стало апробация обозначенного выше подхода.

С учётом сформулированной цели основными **методами исследования** явились констатирующий эксперимент и интерпретация полученных экспериментальных данных.

Результаты исследования и их обсуждение. Исходя из поставленных задач в рабочих программах по физической культуре, одной из которой является укрепление здоровья обучающихся, нами в качестве показателя эффективности занятий по физической культуре рассматривался адаптационный потенциал (АП) рассчитываемый по формуле предложенной Р. М. Баевским (1997) [1]. Первую группу испытуемых составили студенты занимающихся физической культурой в рамках двух аудиторных занятий по физической культуре. Во вторую группу тестируемых вошли студенты, занимающиеся физической культурой по схеме 1+1, когда одно учебное занятие в неделю проводилось в аудиторной форме, а второе в режиме самостоятельной работы.

По окончании учебного года был проведён контрольный срез, результаты которого представлены в табл. 1 и 2.

Таблица 1

Соотношение показателей адаптационного потенциала юношей при различных режимах двигательной активности, %

Уровни АП	Кол-во аудиторных занятий	Два	одно
Удовлетворительный		82,69	43,75
напряжение механизмов адаптации		13,46	54,17
Неудовлетворительный		3,85	2,08
срыв адаптации		0,00	0,00

Таблица 2

Соотношение показателей адаптационного потенциала девушек при различных режимах двигательной активности, %

Уровни АП	Кол-во аудиторных занятий	
	Два	одно
Удовлетворительный	90,91	67,57
напряжение механизмов адаптации	9,09	32,43
Неудовлетворительный	0,00	0,00
срыв адаптации	0,00	0,00

Анализ таблиц позволяет заключить то, что, во-первых, испытуемые второй группы, вне зависимости от гендерной принадлежности в силу ряда обстоятельств игнорируют самостоятельные занятия по физической культуре.

Вследствие чего, при длительном перерыве между занятиями, проводимыми в аудиторной форме, неизбежно наступает редуцирующая фаза [5]. Недостаточная двигательная активность участников второй группы находит своё объяснение в рамках положения материалистической диалектики о противоречии как основном источнике развития [4]. Отсутствие ярко выраженного физического дискомфорта не побуждает их к регулярным занятиям физической культурой. И это притом, что согласно данным медицинских осмотров всего лишь 11% студентов не имеют проблем со здоровьем [3]. Во-вторых, вне зависимости от режима двигательной активности показатели АП девушек относительно лучше в сравнении с показателями юношей, что требует проведения дальнейших исследований с целью объяснения данного феномена.

Заключение. Результаты проведённого констатирующего эксперимента наглядно показывают, что на современном этапе развития высшего образования реализация идей либерализации физического воспитания пока не даёт желаемого результата в его совершенствовании, понимаемого в педагогике как эволюционный путь развития посредством увеличения количественных и качественных показателей сохраняемой основы [2].

Список литературы

1. Баевский Р.М., Берсенева А.П. Оценка адаптационных возможностей организма и риск развития заболеваний. – М., Медицина, 1997. – 236 с.
2. Безрукова В.С. Основы духовной культуры (энциклопедический словарь педагога). – Екатеринбург, 2000. – 937 с.
3. Кокшаров А.В., Гриценко Д.А. Уровень физической активности студентов транспортного вуза / Физическая культура и спорт: актуальные тенденции, проблемы и пути их решения: сб. матер. Всеросс. науч.-практич. конф. – С.Пб, 2022. – С. 56-60.
4. Кочеров С.Н., Сидорова Л.П. Философия: учебное пособие. – Н. Новгород: НИУ РАНХиГС, 2015. – 150 с.
5. Матвеев Л.П. Теория и методика физической культуры (введение в теорию физической культуры; общая теория и методика физического воспитания): учебник для высших учебных заведений физкультурного профиля. – 4-е изд. – М.: Спорт, 2021. – 520 с.

Андрей Орлов, канд. пед. наук, доцент, доцент кафедры физической культуры и спорта, Чувашский государственный университет имени И.Н. Ульянова

Валентина Таланцева, канд. пед. наук, доцент, заведующий кафедрой физвоспитания, Чувашский государственный аграрный университет

Ольга Шиленко, канд. пед. наук, доцент, доцент кафедры физвоспитания, Чувашский государственный аграрный университет

К ВОПРОСУ О РАСШИРЕНИИ АРСЕНАЛА СРЕДСТВ И МЕТОДОВ ОРГАНИЗАЦИИ ТРЕНЕРОВОЧНОГО ПРОЦЕССА ЮНЫХ СПОРСМЕНОВ

Введение. Современный этап развития детско-юношеского спорта характеризуется наличием таких тенденций как: культивирование новых видов спорта, ранняя спортивная специализация, инерционность при выборе содержания тренировочного процесса. При этом в сложившихся условиях традиционно применяемые и апробированные временем средства и методы организации тренировочного процесса юных спортсменов уже не в полной мере обеспечивают достижение желаемого результата. Как следствие, у практикующих спортивных педагогов возникают существенные

трудности при планировании спортивной подготовки, что и актуализирует проблему поиска новых подходов к её организации.

Цель исследования – теоретически обосновать дополнительные средства тренировочного процесса спортсменов массовых разрядов, потенциально содержащих в себе возможность его совершенствования.

Материал и методы. В качестве основных методов выступали анализ, обобщение и интерпретация данных научно-методической литературы.

Результаты исследования и их обсуждение. Приступая к теоретическому осмыслению интересующей нас проблемы необходимо отметить, что поиск средств совершенствования тренировочного процесса должен осуществляться с учётом специфики соревновательной деятельности конкретного вида спорта, что исходит из принципа первичности соревновательной деятельности по отношению к тренировочной (А.А. Новиков, 2012). В данном контексте следует обратить внимание на уже имеющиеся в теории спортивной тренировки классификации видов спорта, отражающие основные их характеристики, как правило, биомеханические и физиологические. На наш взгляд, ограничение данными особенностями не позволяет в полном объёме раскрыть феномен каждого вида спорта и соответственно подобрать наиболее полный арсенал тренировочных средств. В особенности, в отношении средств содействующих формированию психологической готовности к соревновательной деятельности.

Отсутствие в теории спорта единой психологической классификации [2] даёт нам основание рассматривать в качестве перспективного направления изучение интересующего нас вопроса с позиций субъектности соревновательной деятельности. В его плоскости бытийное пространство личности спортсмена следует понимать как субъективно-объективная реальность, в которой он выступает не как пассивный объект внешних воздействий, а как активный субъект, структурирующий своё соревновательное бытие [1]. В рамках данного подхода видится логичным обсуждение видов спорта с точки зрения характера основного взаимодействия при выполнении соревновательного упражнения (деятельности). При таком подходе всё многообразие спорта может быть представлено в виде некой матрицы, предполагающей деление на субъект-объектные и субъект-субъектные виды. В свою очередь, они могут быть подразделены, как на одиночные, так и командные виды, значительно отличающиеся не только по условиям соревновательной деятельности, но и по особенностям проявления процес-

сов высшей нервной деятельности, в частности внимания и мышления (рис.). В данном аспекте виды спорта, отнесённые к группе $S-Q$, будут отличаться стандартностью условий при выполнении соревновательного упражнения и отсутствием непосредственного физического контакта в ходе его выполнения. При этом спортивный результат во многом будет зависеть от качества взаимодействия с предметом соревновательной деятельности, а результативность упражнения напрямую будет обуславливаться способностью субъекта соревновательной деятельности к концентрации внимания при выполнении заранее разученных двигательных действий выполняемых на фоне заочного противоборства.

	субъект-объектные subject-object	субъект-субъектные subject-subjective
одиночные single	$S-Q^s$	$S-S^s$
командные team	$S-Q^t$	$S-S^t$

В пределах предлагаемой матрицы, следующая группа видов спорта ($S-Q$) будет отличаться от предыдущей тем, что субъект-объектное взаимодействие уже будет носить командный характер. При этом необходимость внутри командного взаимодействия при выполнении соревновательного упражнения выдвигает дополнительные требования к проявлению свойств внимания. А именно к его распределению, как способности удерживать в фокусе внимания несколько разнородных субъектов или объектов деятельности [4].

В отличие от субъект-объектных видов спорта с их неизменяемыми условиями выполнения соревновательного упражнения, в субъект-субъектных, соревновательный результат в большей степени зависит не столько

от качества технических действий, сколько от способности рационально их применять и приспосабливать к динамически изменяющимся условиям соревновательной деятельности. В виду данной особенности в ситуационных видах спорта существенное значение приобретает не только распределение внимания, но и его переключение. Традиционно трактуемое как изменение направления сознания с одного предмета деятельности на другой [4]. И, как свидетельствуют результаты проведённых ранее исследований, данные свойства внимания, достаточно хорошо поддаются развитию [3], обуславливая тем самым необходимость их целенаправленного развития в тренировочном процессе.

Выводы. Проведённый теоретический анализ научно-методической литературы позволяет заключить, что к числу перспективных направлений в совершенствовании тренировочного процесса спортсменов массовых разрядов следует отнести рассмотрение соревновательной деятельности с позиций ее субъектности. Это позволяет, определить специфические свойства внимания, обуславливающие эффективность соревновательной деятельности, соответственно и подобрать средства их целенаправленного развития.

Список литературы

1. Гусейнов, А.Ш. Новые тенденции развития психологии спорта: субъектно-бытийный подход / А.Ш. Гусейнов // Ресурсы конкурентоспособности спортсменов: теория и практика реализации. – 2016. – № 1. – С. 62-71.
2. Дерябина, Г.И Краткий курс лекций по спортивной психологии / Г.И. Дерябина – <https://studfile.net/preview/9586751/>_(дата обращения 24.10.2023).
3. Маркиянов, О.А. Развитие свойств психических процессов как составляющая психологической подготовки спортсмена / О.А. Маркиянов, А.И. Орлов, Т.И.Орешкина // Вестник спортивной науки. – 2009. – № 2. – С. 8-11.
4. Психология внимания / Под редакцией Ю. Б. Гиппенрейтер и В. Я. Романова.– М.: ЧеРо, 2001.– 858 с.

მარინა კაკაურიძე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

სამედიცინო ტურიზმის აქტუალურობა

გლობალიზაციის პროცესმა, პაციენტებისა და სამედიცინო პერსონალის ნაციონალურ საზღვრებს მიღმა თავისუფალმა მიმოსვლამ, სამედიცინო ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ განაპირობა სწრაფად მზარდი მრავალმილიარდიანი სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიის წარმოქმნა საერთაშორისო ბაზარზე. სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიის ჩამოყალიბებამ და ჯანდაცვის სერვისების სავაჭრო მიმოცვლის ახალმა მნიშვნელოვანმა შემადგენელმა - პაციენტების მიმოსვლამ ქვეყნებს შორის სამედიცინო მომსახურების ძიებაში - განაპირობა „საერთაშორისო სამედიცინო ბაზრის“ ჩამოყალიბება, რამაც შესაბამისად დაამკვიდრა ახალი რეალობა გლობალურ ჯანდაცვაში და მოექცა მთელი მსოფლიოს ყურადღების ქვეშ.

ჯანდაცვის სერვისების მამიებლებისა და პროვაიდერების მობილობის გამო სამედიცინო ტურიზმი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, რის გამოც მკვეთრად იზრდება კერძო სექტორის მონაწილეობა ჯანდაცვის მიმართულებაში. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო ტურიზმი წარმოადგენს ნიშას ბაზარზე, მასში მონაწილეობა გლობალურია და ფართო მასშტაბის. პაციენტები თანაბრად არიან წარმოდგენილი მაღალი და დაბალი მშპ ქვეყნებიდან, ყოველი კონტინენტიდან ჩამოდიან და ჩადიან მკურნალობის მიზნით.

დღესდღეობით, სამედიცინო ტურიზმი, მისი უძველესი ფესვების მიუხედავად წარმოადგენს ძალიან სწრაფი ზრდის ტემპის მქონე უახლეს ფენომენს, რომელიც თანაბრად გვხვდება, როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში. უფრო მეტიც, მიმართულებები, რომელიც ამჟამად შეიმჩნევა სამედიცინო ტურიზმთან მიმართებაში რაოდენობრივად და ხარისხობრივად სრულიად განსხვავდება ჯანმრთელობის ტურიზმის წინა ფორმებისგან.

ქვეყნების მთავრობების ინტერესს სამედიცინო ტურიზმის განვითარებაში განაპირობებს ის გარემოება, რომ ეს მიმართულება განიხი-

ლება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და ჯანდაცვის სისტემის განვითარების შესაძლებლობა. მეტიც, იგი განიხილება როგორც უცხოური, მომგებიანი შემოსავლის წყარო, როგორც გლობალურ ჯანდაცვაში მონაწილეობის შესაძლებლობა, ჯანდაცვის სტანდარტების ამაღლების, სპეციალიზირებული და მაღალტექნოლოგიური სამედიცინო სერვისების განვითარების, ცოდნის გაცვლის წამახალისებელი, სოციალური და პოლიტიკური კეთილდღეობის მომტანი.

სამედიცინო ტურიზმის ერთ-ერთი სარგებელია ქვეყნიდან ტალანტების გადინების შეჩერება და წასული ჯანდაცვის პროფესიონალების უკან დაბრუნება. ყოველივე ზემოთხსენებულის გამო სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრია ძალიან მიმზიდველი გახდა სხვადასხვა ქვეყნისთვის, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისთვის, რამაც ძალიან გაამძაფრა კონკურენცია ამ სფეროში გლობალურ არენაზე. ამასთანავე, სამედიცინო ტურიზმის მიზნებისთვის უახლესი სამედიცინო სერვისების დანერგვა ქვეყანაში განაპირობებს მოქალაქეების სხვა ქვეყანაში სამკურნალოდ გამგზავრების ნაცვლად საკუთარი ჯანდაცვის სისტემის მომსახურებით სარგებლობას, შესაბამისად კაპიტალის შეკავებას ქვეყნის შიგნით.

აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის ტურიზმს სხვა მიმართულებებთან შედარებით გააჩნია სპეციფიური მახასიათებლები, რომლებიც დიდწილად განაპირობებენ ამ ინდუსტრიის მომგებიანობასა და კონკურენტულობას:

1. შედარებით ხანგრძლივი დაყოვნება ქვეყანაში (მკურნალობის საჭიროებების გამო პაციენტებს უფრო დიდხანს უწევთ დარჩენა ვიდრე სხვა სახეობის ტურიზმისას) და განმეორებითი ვიზიტების საჭიროება სამედიცინო დაკვირვების მიზნით;
2. სამედიცინო ტურისტები თითქმის არასდროს მოგზაურობენ მარტო - უმეტესად ერთ თანხმლებ პირთან ერთად (შესაბამისად დანახარჯის ოდენობაც იზრდება);
3. უფრო დიდი ოდენობის სპეციფიური დანახარჯები სპეციალიზირებული სამედიცინო სერვისების, ინსტრუმენტებისა და ჯანდაცვის პერსონალის საჭიროებიდან გამომდინარე;

4. ნაკლები დამოკიდებულება სეზონურობაზე; ჯანმრთელობის ტურიზმის სერვისები თითქმის არ არის დამოკიდებული ამინდზე და მეტეოროლოგიურ პირობებზე;

5. ტურიზმის სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალურად მორგებულ მიდგომას და ხშირად სწორედ ეს ხდება კონკურენტული უპირატესობის განმსაზღვრელი.

ამის გათვალისწინებით ჯანმრთელობის ტურიზმი შესაძლოა იყოს განსაკუთრებულად მიმზიდველი ტურიზმის სახეობა და განაპირობებდეს სტუმრების მეტ კმაყოფილებას მიღებული მომსახურებით.

თანამედროვე სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიისთვის დამახასიათებელია სერვისების დიფერენცირება ქვეყნების მიხედვით. სერვისის მიმწოდებელი ქვეყნები ცნობილია კონკრეტულ სამედიცინო მიმართულებებში სპეციალიზირების მიხედვით. მაგალითად, ინდოეთი სპეციალიზდება ორთოპედიულ ქირურგიასა და კარდიოქირურგიაში; სინგაპური - კიბოს მკურნალობის, ტრანსპლანტაციის, სპინალური ქირურგიის მიმართულებით; ესპანეთი ხელოვნურ განაყოფიერებაში; ტაილანდი თავის დროზე ცნობილი გახდა სამედიცინო ტურისტებს შორის სქესის შეცვლის ოპერაციების გამო, ამჟამად სპეციალიზრებულია კოსმეტიკურ ქირურგიაში, თვალის ქირურგიაში, აივ/შიდსის მკურნალობის მიმართულებით; ხოლო უნგრეთს უწოდებენ სტომატოლოგიის მსოფლიოს ცენტრს და ა.შ.

არაერთი კვლევა უსვამს ხაზს დიასპორების როლს სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიაში. მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ემიგრანტები ინდოეთიდან, ჩინეთიდან, კორეიდან და მექსიკიდან ბრუნდებიან მკურნალობის მიზნით თავიანთ მშობლიურ ქვეყნებში, როდესაც საჭირო სამედიცინო პროცედურა არ არის ხელმისაწვდომი მათ საცხოვრებელ ქვეყანაში ან არის ნაკლები სამედიცინო ხარისხის. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო მომსახურების ფასითაც შეიძლება აიხსნას მაგალითად აშშ-ში მცხოვრები მექსიკელი მიგრანტები რატომ ბრუნდებიან მექსიკაში მკურნალობისთვის, ნდობის ფაქტორმაც წამოიწია წინა პლანზე, როგორც ასეთი მოგზაურობის საკვანძო განმაპირობებელმა. ეს ფაქტი შესაძლოა ნაწილობრივ დაკავშირებული იყოს ენის ბარიერთანაც,

როგორც ამას აჩვენებს ავსტრალიაში მცხოვრებ კორეელ ემიგრანტებზე ჩატარებული კვლევა. სიახლოვეს განაპირობებს ქვეყნებს შორის ყოფილი კოლონიალური კავშირებიც, რომლის გავლენითაც ჩამოყალიბდა მაგალითად, დიდ ბრიტანეთს და ინდოეთს შორის სამედიცინო ტურიზმის ბაზარი.

სამედიცინო ტურიზმში სულ უფრო მეტად იკვეთება სამედიცინო ტურისტების რეგიონული მიმოსვლის ტენდენცია. მაგალითად, კვლევები აჩვენებს, რომ ტუნისში, სინგაპურში და იორდანიაში ჩამომსვლელი უცხოელი პაციენტების 80%-ზე მეტი მეზობელი ქვეყნებიდან. სინგაპურში ჩამოსული სამედიცინო ტურისტებიც ძირითადად მეზობელი ქვეყნებიდან იყვნენ ჩასული მკურნალობის მიზნით. მაგალითად, 52% იყო ინდონეზიიდან, 11% მალაიზიიდან. იგივე სურათი აჩვენა მალაიზიაში, კუალა ლუმპურის ჰოსპიტლებში ჩატარებულმა კვლევამ. სადაც, უცხოელი პაციენტების 48% იყო ინდონეზიიდან და 10%-ზე ნაკლები ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან, ფილიპინებიდან და ინდოეთიდან. ამას გარდა, მნიშვნელოვანია ნიშა რეგიონებში. მაგალითად, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კოსმეტიკური ქირურგიის ცენტრი კორეა გახდა.

ერთ-ერთი ტენდენცია ამ ინდუსტრიაში არის ქვეყნების მიერ საკუთარი სამედიცინო ტურიზმის სერვისების ჯანდაცვის ან ბიოსამედიცინო ქალაქად პოზიციონირება საერთაშორისო ბაზარზე. ამის მაგალითია სინგაპურის ბიო-პოლისი, რომელიც 2001 წლიდან პოზიციონირდება, როგორც ბიო-სამედიცინო და ბიო-ტექნოლოგიების ცენტრი. მეორე მაგალითს წარმოადგენს დუბაის ჯანდაცვის ქალაქი (Dubai Health Care City – DHCC), რომლის დაარსების მიზანიც არის შუა აღმოსავლეთის პაციენტების მოზიდვა და მათი რეგიონში შეკავება აზიაში გადინების ნაცვლად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტრენდი სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიაში არის სადაზღვევო კომპანიებისა და დამქირავებლების დაინტერესება სხვა ქვეყნების სამედიცინო პროვაიდერებთან ხელსაყრელი თანამშრომლობით, მათი ბენეფიციარების სამედიცინო დანახარჯების შემცირების მიზნით. ექსპერტების შეფასებით ეს მიმართულება კიდევ

უფრო გაღრმავდება მომავალში. ასევე, აღსანიშნავია განვითარებული ქვეყნების კომპანიების მზარდი ინტერესი და შესვლა განვითარებადი ქვეყნების ჯანდაცვის ბაზარზე.

სამედიცინო ტურიზმის ზრდასთან ერთად იზრდება მულტინაციონალური კერძო კომპანიების ინვესტიციები და თანამშრომლობა განვითარებადი ქვეყნების ჰოსპიტალურ სექტორში. ამის სამედიცინო ტურიზმში მაგალითებია: მეიოს კლინიკისა და Raffles Medical Group in Singapore თანამშრომლობა, კლივლენდის კლინიკის ფილიალი აბუ დაბიში, Jons Hopkins-თან აფილირებული კლინიკა სინგაპურში, ანადოლოს სამედიცინო ცენტრი თურქეთში და სხვა. ეს ტენდენცია კიდევ უფრო ამძაფრებს კონკურენციას ქვეყნებსა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის, რასაც მოყვება წნეხი სამედიცინო სერვისების ღირებულებაზე და ხშირად ფასით კონკურენცია განაპირობებს სამედიცინო ხარისხის გაუარესებას.

სამედიცინო ტურიზმი აღმოცენდა, როგორც ტურიზმის და გლობალური ჯანდაცვის ახალი მიმართულება, შესაბამისად საჭიროებს სერვისის მიწოდების განსხვავებულ მიდგომებს, რეგულაციებს, რომელიც ცდება ამ თითოეულ სფეროს ცალკეულად. შესაბამისად, მოთხოვნის მხარეს განიხილავენ არა, როგორც პაციენტს ან ტურისტს, არამედ როგორც პაციენტ-მომხმარებელს.

მასპინძელი ქვეყნების წინაშე გლობალიზაციისა და მაღალი კონკურენციის პირობებში სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა: სერტიფიცირების და აკრედიტაციის აუცილებლობა მაღალი სტანდარტების დასამკვიდრებლად ჯანდაცვის სექტორში, პაციენტებზე ორიენტირებული მომსახურების სისტემისა და მარკეტინგული პრომოუშენის სისტემის შექმნა, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარება, მთავრობისა და კერძო სექტორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1.ვერულავა, თ. - სამედიცინო ტურიზმი და საქართველო: პრობლემების სპეციფიკა და რეკომენდაციები. - საერთაშორისო კონფერენციის “სამე-

დიცინო ტურიზმი: პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სამედიცინო პრობლემები” შრომათა კრებული. გრ. რობაქიძის უნივერსიტეტი. – 2016.

2.ჯანმრთელობის დაცვა. სტატისტიკური ცნობარი. საქართველო, - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2018.

3.Tourism at Full Speed., 2018 - Galt & Taggart.

<http://galtandtaggart.com/research/researchreports/sector/all-all/1/>.

4.Phinaitrup, B.A., - Health Tourism Management: The Case of Thai Health Tourism Industry. - NIDA Development Journal, 58 (3), 2018.

მარინა კაკაურიძე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

სამედიცინო ტურიზმის აქტუალურობა რეზიუმე

ნაშრომში აქცენტი გაკეთდა სამედიცინო ტურიზმში ჯანდაცვის სექტორის როლზე, მისი განვითარების ბარიერებზე. განხილულია სამედიცინო ტურიზმის ბაზრის მოცულობა, ტენდენციები. თანამედროვე სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიისთვის დამახასიათებელია სერვისების დიფერენცირება ქვეყნების მიხედვით. ჯანმრთელობის ტურიზმს სხვა მიმართულებებთან შედარებით გააჩნია სპეციფიური მახასიათებლები, რომლებიც დიდწილად განაპირობებენ ამ ინდუსტრიის მომგებიანობასა და კონკურენტულობას.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო ტურიზმი, ბაზრის მოცულობა, კონკურენტულობა

Марина Какауридзе

Академик Академии наук туризма Грузии

Актуальность медицинского туризма

Резюме

В работе акценты сделаны на роли сектора здравоохранения в медицинском туризме, барьерах на пути его развития. Рассмотрены объем рынка медицинского туризма, тенденции глобализации. Дифференциация услуг по странам характерна для современной индустрии медицинского туризма. По сравнению с другими направлениями оздоровительный туризм имеет специфические характеристики, которые во многом определяют прибыльность и конкурентоспособность этой отрасли.

Ключевые слова: медицинский туризм, размер рынка, конкурентоспособность.

Marina Kakauridze

Academician of the Academy of Tourism Sciences of Georgia

Relevance of Medical Tourism

Summary

The work focuses on the role of the healthcare sector in medical tourism, barriers to its development. The volume of the medical tourism market and globalization trends are considered. Differentiation of services by country is typical for the modern medical tourism industry. Compared to other areas, health tourism has specific characteristics that largely determine the profitability and competitiveness of this industry.

Keywords: medical tourism, market size, competitiveness.

ნათელა კაკაურიძე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ეკოტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში

ტურიზმის ბიზნესის განვითარება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით. ტურიზმის მკვეთრად მზარდი ტენდენცია შესაბამისად ზრდის ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკურ სარგებელს. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს საქართველოს მშპ-ში ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუცია 9.3% იყო და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი 2028 წლამდე 10.5%-მდე გაიზრდება. უამრავ ქვეყანაში ტურიზმით იქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, ივსება სახელმწიფო ბიუჯეტი, იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტი, თუმცა ტურისტული ცენტრები და რეგიონები ტურიზმიდან მხოლოდ შემოსავალზე არ ფიქრობენ, ისინი უზარმაზარ სახსრებს გამოყოფენ ტურისტული ინდუსტრიის ჰარმონიული განვითარებისათვის, განსაკუთრებით, ეს ეხება ეკოტურიზმს.

ეკოტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია ტურიზმის ინდუსტრიაში. დღეს ეკოტურისტული მოგზაურობების რიცხვი სამჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ზოგადად ტურიზმი. აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნებაზე მიუთითებს ბოლო წლების განმავლობაში ეკოტურისტული პროდუქტების მომხმარებელთა გაზრდილი ინტერესიც.

მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და მისი გონივრული გამოყენება არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის, არამედ, რეგიონების ჰარმონიული განვითარების საწინდარია. “ეკოტურიზმი” – “მწვანე ინდუსტრია” ახალი მოვლენაა ტურიზმის ინდუსტრიაში. მისი დაინტერესების სფერო არის ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და გაუმჯობესება სწორი ორგანიზაციის პირობებში. ეკოტურიზმი უნდა განვიხილოთ, როგორც მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი, მისი მდგრადი განვითარება არის უწყვეტი

პროცესი ცვლილებებისა, რომლის ჩარჩოებშიც მიმდინარეობს რესურსების გამოყენება, ინვესტიციების განხორციელება.

XXI საუკუნეში დაიწყო ეკოტურიზმის სწრაფი აღმავლობა, ხოლო ეკოლოგიამ ცენტრალური ადგილი დაიკავა ტურიზმის განვითარებაში. საქართველოს ტურისტული ბიზნესის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს ბუნებრივი, გეოგრაფიული, კლიმატური, რეკრეაციული შესაძლებლობებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობიდან გამომდინარე. საქართველო, უნიკალური ბიომრავალფეროვნების და ულამაზესი ლანდშაფტების მხრივ, მსოფლიოში მნიშვნელოვანი და გამორჩეული 36 ადგილის ჩამონათვალში შედის, უფრო მეტიც, იგი ამ სიაში მე-12 ადგილზეა.

მსოფლიოში ძალიან ცოტაა ისეთი ქვეყანა, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე განლაგებულია ამდენი განსხვავებული ლანდშაფტი, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით დაფარული კავკასიონის ქედი, შავი ზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონა, წყალუხვი მდინარეები და ჩანჩქერები, კარსტული მღვიმეები, კურორტები და მინერალური წყაროები, ისტორიის, კულტურისა და ბუნების უნიკალური ძეგლები, ანუ რეკრეაციული რესურსები, ეს ხელს უწყობს საქართველოში ეკოტურიზმის განვითარებას და სახავს დიდ პერსპექტივას. მისი ტურისტული მასშტაბი 69,7 ათასი კვადრატული კილომეტრია, მდებარეობს 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილი. ქვეყანაში არის 15 სახელმწიფო ნაკრძალი (ფართობი 139 048 ჰა); 13 ეროვნული პარკი (ფართობი 445 767 ჰა); 23 აღკვეთილი (ფართობი 75 207 ჰა); 40 ბუნების ძეგლი (2748,99 ჰა); 2 დაცული ლანდშაფტი (ფართობი 138 327 ჰა).

ეკოტურისტებისთვის ქვეყნის განსაკუთრებულ მიმზიდველობას ქმნის ეთნოკულტურის სიმდიდრე, სახალხო დღესასწაულების მრავალფეროვნება, ადათ-წესები, ხელობები, მოსახლეობის ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და თავისებური ქართული სამზარეულო. ყოველივე ზემო აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს, რომელსაც გააჩნია უნიკალური ტურისტული რესურსები, ეკოტურიზმს არ მიუღწევია პოტენციური შესაძლებლობების ადეკვატური დონისათვის.

საქართველოს 2020-2030 წლების ეკოტურიზმის სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავდა GIZ-ის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (PSD TVET SC) პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში პასუხისმგებელი სამინისტორებისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით. პროგრამის მთავარი მიზანია მდგრადი ეკონომიკური განვითარების პირობების გაუმჯობესება დასაქმებისთვის რელევანტურ სექტორებში.

საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს, ეკოტურიზმი იქცეს ტურიზმის წამყვან სახეობად, რასაც შეუძლია შეაჩეროს მიგრაცია მთიდან ბარში და ქვეყანას შეუნარჩუნოს ულამაზესი სოფლები, მათი განსაკუთრებული ტრადიციებით და წეს-ჩვეულებებით. ეკოტურიზმი დიდ საზოგადოებრივ სარგებელსა და ინვესტიციებს უზრუნველყოფს, მისი განვითარებისთვის აუცილებელია ბევრი პრობლემის გადაჭრა სამთავრობო დონეზე.

ეკოლოგიურ ტურიზმს განსაკუთრებულად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე შეუძლია, განავითაროს თავისი ყველა სახეობა, მაგრამ ნაკრძალების რეჟიმი განსაკუთრებულად მკაცრია სხვა სახის დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებთან შედარებით და ეკოტურიზმს გარკვეულ შეზღუდვებს უყენებს. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე, ეს ის მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც რეგიონების ეკონომიკურ მდგომარეობაზე მოქმედებს. მას ქვეყანაში ბუნების დაცვის ხელშეწყობაც შეუძლია.

მკაცრად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებს არამხოლოდ ეკოლოგიური ტურიზმის გაძლიერება, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტების შემოსვლის სტიმულირებაც შეუძლია. ამ მიზნებისთვის დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებს აქვთ უნიკალური ორგანიზებული ტერიტორია, დაცვისა და ეკოლოგიური სისტემების აღდგენის გამოცდილება, მჭიდრო კონტაქტები ეროვნულ ფუნდამენტურ მენეიერებასთან, საზღვარგარეთ თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების შე-

სამღებლობა, დაცვითი სტრუქტურები, ჰყავთ კომპეტენტური სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი.

ეკოტურიზმი საქართველოს დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე, განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება. აქ ეკოტურისტები საზღვარგარეთის ეროვნულ პარკებთან შედარებით გაცილებით მცირე რაოდენობით არიან. საღვარგარეთ დაცულ ტერიტორიებს წელიწადში რამდენიმე მილიონი ტურისტი სტუმრობს. ევროპელი და ამერიკელი ეკოტურისტებისთვის ეკოტური მკაცრად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე ყველაზე პოპულარული დასვენების საშუალებაა.

დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარებას დიდი წვლილი შეაქვს ტურიზმის და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, იგი განსაკუთრებით დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ყოველწლიურად იზრდება დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურისა და დასაქმებული ადამიანების რაოდენობა. 2023 წელს გერმანელი ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მხოლოდ 5 დაცული ტერიტორიის ეფექტი საქართველოს ეკონომიკაში 87 მლნ ლარს შეადგენდა.

ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის გამოკვლევების მიხედვით ტურიზმის ინდუსტრიის შემოსავალი მსოფლიოს მასშტაბით 8.8 ტრილიონი დოლარია, რომლის დაახლოებით 10% მოდის ეკოტურიზმზე (\$800 მლრდ. დოლარი – 1 ტრილიონი დოლარი). ეკოტურიზმი ასაქმებს 11 მილიონ ადამიანზე მეტს. მისი წლიური ზრდა 10%-დან 12%-მდე მერყეობს, აქედან გამომდინარე წარმოადგენს ტურიზმის ყველაზე სწრაფად მზარდ სეგმენტს.

გამოკვლევების მიხედვით, ეკოტურისტები უფრო ახალგაზრდები არიან, ვიდრე საშუალოდ ერთი მოგზაური. მათზე მოდის გაცილებით ნაკლები ხარჯები, რომელიც გაიწევა ინფრასტრუქტურაში, ვიდრე სხვა ტიპის მოგზაურებზე. მსოფლიოს მასშტაბით 90 ქვეყანას აქვს ეკოტურიზმი ან მდგრადი ტურიზმი განვითარებული ქვეყნის ან რეგიონალურ დონეზე. ეს შედეგი გასულ 30 წელში განვითარდა. ამდენად, არცერთი

სხვა სახის ტურიზმი ან ინდუსტრია ასეთი სწრაფი ტემპებით არ გამ-
ხდარა გლობალური ეკონომიკის ფუნდამენტი.

ეკოტურიზმი ტურიზმის სექტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნა-
წილია, რომლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია გარემოს დაცვა
და შენარჩუნება. იქიდან გამომდინარე, რომ ეკოტურიზმი დიდ საზო-
გადოებრივ სარგებელსა და ინვესტიციებს უზრუნველყოფს, მიზანშე-
წონილია ამ მიმართულებით საბიუჯეტო ხარჯების გაზრდა. ძალიან
მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ჩართვა და დაინტერესება ზოგადად
ტურიზმით, რათა განხორციელდეს ინვესტიციები და განვითარდეს
შესაბამისი ინფრასტრუქტურა (ბილიკები, ვიზიტორთა ცენტრები, კოტე-
ჯები და ა.შ.), შენარჩუნდეს გარემო და მოსახლეობამ, ბიზნესმა და
სახელმწიფომ მიიღონ ეკონომიკური სარგებელი. თუმცა ეს არ არის საკ-
მარისი, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან კიდევ უფრო უკეთესი
პირობებისა, საკანონდებლო ბაზის, სტრატეგიისა და ბიზნეს-გარემოს
შექმნა, რომელშიც კერძო ბიზნესის საქმიანობა სერიოზულ მოგებას
მოიტანს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გვანცა ყანჩაველი , სამაგისტრო ნაშრომი : ეკოტურიზმი
საქართველოში, 2019.
2. კარლო ტაბიძე , სამაგისტრო ნაშრომი : ეკოტურიზმის განვითარების
პოტენციალი საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკაზე, 2019.
3. <http://mastsavlebeli.ge/?p=1084>
4. <https://ecotourism-world.com/>
5. Ecotourism in Georgia. <https://mygeotrip.com/ecotourism-in-georgia>

ნათელა კაკაურიძე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ეკოტურიზმის განვითარების ტენდენციები

საქართველოში

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია საქართველოში ეკოტურიზმის პოტენციალისა და მისი ძირითადი გამოწვევების კვლევა, ეკოტურიზმის ბაზრის მზარდი ტენდენციების განსაზღვრა. საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს, ეკოტურიზმი იქცეს ტურიზმის წამყვან სახეობად, რასაც შეუძლია შეაჩეროს მიგრაცია მთიდან ბარში და ქვეყანას შეუნარჩუნოს ულამაზესი სოფლები, მათი განსაკუთრებული ტრადიციებით და წეს-ჩვეულებებით.

საკვანძო სიტყვები: ეკოტურიზმი, მიგრაცია, ტრადიციები.

Натела Какауридзе

Академик Академии наук туризма Грузии

Тенденции развития экотуризма в Грузии

Резюме

Целью статьи является исследование потенциала экотуризма в Грузии и его основных проблем, определение растущих тенденций рынка экотуризма. Грузия имеет большой потенциал для того, чтобы экотуризм стал ведущим видом туризма, который может остановить миграцию из гор в бары и сохранить красивые деревни страны с их особыми традициями и обычаями.

Ключевые слова: экотуризм, миграция, традиции.

Natela Kakauridze

Academician of the Academy of Tourism Sciences of Georgia

Trends in the development of ecotourism in Georgia

Summary

The purpose of the article is to study the potential of ecotourism in Georgia and its main problems, to identify growing trends in the ecotourism market. Georgia has great potential for ecotourism to become a leading form of tourism that can stop the migration from mountains to bars and preserve the country's beautiful villages with their special traditions and customs.

Key words: ecotourism, migration, traditions.

კაკაურიძე ნათელა

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი

საწარმოთა ხარჯების შემცირება ხელს უწყობს ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული ინვესტიციის შემოდინებას, რომლის ერთ-ერთი სარგებლიანობა მიმღები ქვეყნისათვის ექსპორტის ზრდაა, რაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოში შემცირდა გადასახადების რაოდენობა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ერთნაირად მომხდარიყო მიდგომა ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისადმი. შესაბამისად გათანაბრდა ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების ბიზნესის პირობები, შემცირდა ტარიფები და რამდენიმე ქვეყანასთან ასევე ძალაში შევიდა შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ამ ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში ძირითადად ბაზრის ათვისებასა და ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული ინვესტორები შემოვიდნენ. ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული ინვესტორები მოტივირებული არიან ხარჯების შემცირებითა და მესამე ქვეყანაში ექსპორტის ზრდით, ხოლო ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული ინვესტორები ქვეყანაში შემოსვლის შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას, რომ განახორცი-

ელონ ექსპორტი, რაც განპირობებულია კონკურენციის ზრდით მიმდებ ქვეყანაში.

2006 წლამდე საქართველოში ინვესტორების შემოსვლის ძირითადი მოტივი იყო იაფი რესურსების ათვისება, ხოლო 2006 წლის შემდეგ მთავრობამ განახორციელა რეფორმები იმისათვის, რომ მომხდარიყო საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია და შექმნილიყო პოტენციური ინვესტორებისათვის ბიზნესზე მორგებული გარემო, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა ინვესტორთა ხარჯების შემცირებაში, რამაც გამოიწვია ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებული ინვესტიციების სტიმულირება, რომლის დროსაც ინვესტორები ექსპორტს ახორციელებენ მიმდები ქვეყნიდან, ასევე 2007 წლიდან ქვეყანაში შემოვიდნენ საშინაო ბაზრის და რესურსების მაძიებელი ინვესტორები. ამის გამო, მოხდა ექსპორტის მკვეთრი ზრდა, რაც ადასტურებს იმას, რომ 2007 წლის შემდეგ გვაქვს ქვეყანაში შემოდინებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (უპის) მოტივაციების დივერსიფიკაცია.

გადასახადების შემცირებამ განაპირობა ინვესტორთა ხარჯების შემცირება, პროდუქციის დაბალ ფასში გაყიდვა და ბაზრის მომსახურების გამარტივება. მეორე, ასეთი ინვესტორები ექსპორტს ახორციელებდნენ შემდეგი მიზეზების გამო: გადასახადების შემცირების პირობებში მცირდებოდა ინვესტორებისა და ადგილობრივი კომპანიების ხარჯები და მათ ერთ და იმავე პროდუქციაზე აწესებდნენ თითქმის თანაბარ ფასებს. რაც შემთხვევებში უცხოელი ინვესტორები მოგების მაქსიმიზაციით არიან მოტივირებული. ამის გამო, მათ შეეძლოთ უფრო მაღალი ფასის დაწესება, ვიდრე ადგილობრივ ფირმებს. შესაბამისად, თუ ინვესტორს გაუჭირდებოდა პროდუქციის რეალიზაცია, მას შეიძლება შემდეგ განეხორციელებინა ექსპორტი.

ასევე ინვესტიციების შემოდინების ზრდას განაპირობებს ის, რომ ახალი შრომის კოდექსი ამცირებს სამუშაო ძალის ხარჯს და უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს კონტრაქტთან მიმართებაში დამქირავებელსა და დაქირავებულს. ჩვენ მიერ ჩატარებულ რეგრესიულ ანალიზში დადასტურდა, რომ ხელფასის ერთი ერთეულით ზრდა (1 ლარით) მნიშვნელოვნად ამცირებს უპის შემოდინებას ქვეყანაში.

ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტები მკაცრ მოთხოვნებს არ უყენებენ უცხოურ კომპანიებს. ის, რომ ეს ფაქტორი ხელს უწყობს უპის შემოდინებას იმითაც დასტურდება, რომ 1996 წლიდან სესხებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირებასთან ერთად უპი მნიშვნელოვნად იზრდებოდა. ბევრია გასაკეთებელი ქვეყანაში ინვესტორების მოსაზიდად. აქ იგულისხმება: ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესება, რომელიც ამცირებს ბიზნესის წარმოების ხარჯებს, გადასახადების შემცირება, ან მთავრობის თანადაფინანსების საფუძველზე ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაცია, საკანონმდებლო რეფორმა და სხვა.

როდესაც განვიხილავთ საქართველოს მიმზიდველობას უპისთან მიმართებაში მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება, რომელიც არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი ინვესტორებისათვის საზღვარგარეთ. თუკი არანაირი ზომები არ იქნა მიღებული საკანონმდებლო სისტემის სამართლიანობის გარანტირებისათვის, მაშინ შეიძლება სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორები შეიქმნას უპის მოზიდვისათვის მომავალში. სხვა პრობლემა, რომელიც აიძულებს ინვესტორებს, იყვნენ ფრთხილი ინვესტიციების დაბანდებისას, არის ლარის კურსის არასტაბილურობა და მზარდი ინფლაცია და ეს ასევე ეხება საქართველოს. ნაყოფიერი გზა უპის მოზიდვისა შეიძლება იყოს საგადასახადო პოლიტიკა, რთულია უპის მოზიდვა საგადასახადო პრივილეგიების დაწესების გარეშე, ასეთი პრივილეგიები შეიძლება იყოს საგადასახადო არდადეგები. მსოფლიო პრაქტიკა მეტყველებს, რომ მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის საგადასახადო პრივილეგიები უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე დიდი კომპანიებისათვის.

საქართველოში სამუშაო ძალის ფასი ევროპულ ქვეყნებთან შედარებით არის უფრო დაბალი, რაც არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომაც ჩამოდიან უცხოელები საქართველოში ბიზნესის დასაწყებად. სავაჭრო ლიბერალიზაცია დადებითად აისახება უპის მოზიდვაზე. სავაჭრო ლიბერალიზაცია იწვევს ადმინისტრაციული ბარიერების შემცირებას და აუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს მიმღებ ქვეყანაში. ქვეყნები, სადაც დაბალი სავაჭრო ბარიერებია, ასევე ფლობენ დაბალ ბარიერებს უპისადმი.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ქვეყნის საექსპორტო სექტორში უპის მოზიდვის ერთ-ერთი გზაა, ვინაიდან ქვეყანას ესაჭიროება კაპიტალი და ცოდნა, რომ ვაწარმოოთ და ექსპორტზე გავიტანოთ პროდუქცია. ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი ასტიმულირებს იმ უცხოელი პირდაპირი ინვესტორების შემოდინებას საქართველოში, რომლებიც მოტივირებული არიან ბიზნესის წარმატებულად წარმოებით. სახელმწიფომ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საერთაშორისო ვაჭრობის წახალისებაში ინვესტიციების სტიმულირებით და თანამშრომლობის გაღრმავებით ცალკეულ ქვეყნებთან, მთავრობებსა და ფირმებთან. არაპირდაპირი გადასახადები, რომელებიც უფრო მაღალია, ვიდრე პირდაპირი უცხოელების საშემოსავლო გადასახადები, ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს უპის შემოდინებას. არსებობს მნიშვნელოვანი კორელაცია ბიზნესის წარმოების ინდიკატორებსა და უპის ნაკადებს შორის. ასევე უცხოური ბიზნესის დასაწყებად პროცედურების რაოდენობა მნიშვნელოვნად ზემოქმედებს უპიზე.

საქართველოში შემდეგი ინდუსტრიები ხასიათდება უპის მოზიდვის მაღალი პოტენციალით: ჰიდროელექტროენერგეტიკა, ლოჯისტიკა, ტრანსპორტი, ტურიზმი. ინვესტიციებისათვის საქართველოში ჰიდროელექტროენერჯის სექტორი მიჩნეულია ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველად, ვინაიდან ამ სექტორში ინვესტორების მიერ შესაძლოა მაღალი მოგების მიღება. ამ სექტორის ეკონომიკურად მნიშვნელოვანი პოტენციალის 65% ჯერ კიდევ არაა გამოყენებული.

ენერგეტიკის სექტორი შესაძლოა მივიჩნიოთ მიმზიდველად, რადგან ინვესტორები პირველ რიგში მაღალი უკუგების მქონე დარგებით არიან დაინტერესებული. ტურიზმი და სატრანსპორტო სექტორი ასევე მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის, ვინაიდან ფოთისა და ბათუმის პორტების მეშვეობით ქვეყანას აქვს პოტენციალი, გახდეს მთავარი კომერციული და ლოჯისტიკური ცენტრი კავკასიაში.

დადებითი საინვესტიციო აქტივობა განპირობებულია კარგი ეკონომიკური კლიმატით. უპის გრავიტაციული მოდელის თანახმად, მიმღები ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა (მშპ, მშპ მოსახლეობის ერთ

სულზე) და აქ დაბანდებულ უპის შორის არსებობს დადებითი კავშირი. 2017 წელს ჩინეთმა მოიზიდა ყველაზე მეტი უპი განვითარებად ქვეყნებს შორის და ამავე წელს მისი მშპ იყო ყველაზე მაღალი. ეკონომიკური ზრდა აუმჯობესებს ბიზნეს კლიმატს. ამ პირობებში ქვეყანაში მეტი ინვესტორი შემოდის ინვესტიციების დასაბანდებლად. ცხადია ისიც, რომ მუდმივი ეკონომიკური განვითარება დაკავშირებულია ინვესტიციების დონესთან ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს ოფიციალური მაკროეკონომიკური პარამეტრები არის ოპტიმისტური პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის გამო, რომელიც შეიცავდა ბიზნესის ლიბერალიზაციას, კრიმინალის შემცირებასა და პრივატიზაციის დაჩქარებას. ამ ყველაფერს დადებითი ეფექტი ჰქონდა ეკონომიკაზე და გამოიწვია უპის მოცულობის გადიდება. აღნიშნული ფაქტი შესაბამისობაშია უპის გრავიტაციულ მოდელთან. მთავრობის რეფორმების წარმატებულობამ განსაზღვრა ის, რომ ინვესტორები ამ ქვეყანაში კაპიტალის დაბანდებას უწევდნენ რეკომენდაციას. მუდმივი ეკონომიკური განვითარება არის დაკავშირებული საკმარისი ინვესტიციების დონესთან ჩვენს ქვეყანაში.

2011 წლის 1 ივლისს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, რომელმაც დამატებით შეამცირა მთავრობის ჩარევა ბაზარზე, ეკონომიკური სტრუქტურა უფრო ლიბერალური გახდა რამაც განაპირობა მაღალი ეკონომიკური ზრდა. აღნიშნული ფაქტები შესაბამისობაშია უპის გრავიტაციულ მოდელთან. ამ მოდელის თანახმად, მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში მეტი უპი შემოვა. ქვეყანაში მოხდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ლიბერალიზაცია და უცხოელი ინვესტორებისათვის გამარტივდა უპის განხორციელება. საქართველოში შეიქმნა უფრო მეტად ინვესტორზე მორგებული კანონმდებლობა. ქვეყანაში გატარდა რეფორმები, რომლებიც ხელს უწყობს ინვესტორთა დიდი ხნით დარჩენას ქვეყანაში, ვინაიდან უპის დაბანდების შემდეგ არ წარმოექმნებათ დამატებითი პრობლემები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც უცხოელი ინვესტორების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არის ქვეყანაში კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა, რომლის დონე მაღალია სხვა პოსტსაბჭოთა

რესპუბლიკებთან შედარებით. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დიდი რაოდენობით უპი იმის გამო მოიზიდეს, რომ მათ ჰყავთ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალა. ქვეყანას არ აქვს ისეთი ენერგიული ადამიანების დეფიციტი, რამაც შეიძლება მიიზიდოს ინვესტორთა ყურადღება საქართველოში.

ქვეყანაში არსებული ინვესტორზე მორგებული გარემო გამოიხატება შემდეგში: ბიზნესთან დაკავშირებული სასამართლო დავები წყდება მთავრობის ჩარევის გარეშე; არსებობს ნაწილობრივ თავისუფალი სასამართლო სისტემა; მთავრობა აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ იყოს თავისუფალი საბაზრო პირობები. საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდინან ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული ინვესტორები, რადგან თავისუფალი ბაზრის პირობებში ხდება ორ მხარეს შორის შეთანხმების საფუძველზე საქონლის გაყიდვა ან სერვისის გაწევა, გამყიდველისათვის სასურველ ფასში; საქართველოს საბანკო სისტემამ დადებითი გამოხმაურება მიიღო ინვესტორებისგან. უმეტესმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ საბანკო სექტორი აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს, თუმცა სხვებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ მას სჭირდება დამატებითი განვითარება.

უნიკალური გეოგრაფიული ადგილმდებარეობა საქართველოს მიმზიდველად ხდის, რომ მოვემსახუროთ სხვა ბაზრებს, კერძოდ ევროკავშირსა და თურქეთს. აღნიშნული ფაქტორის შესაბამისობას უპის მისაზიდად ადასტურებს ის, რომ ქვეყანაში მეორე ადგილი დაიკავა ევექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულმა ინვესტიციებმა, რომლის დროსაც ინვესტორი მოტივირებულია ექსპორტის განხორციელებით მიმღები ქვეყნიდან. ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი და მინერალური რესურსებით; დაჩქარდა სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცესი და გამარტივდა საკუთრების რეგისტრაციის პროცედურები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს გრინფილდ ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში.

სახელმწიფოს საკუთრების პრივატიზაცია ზრდის ინვესტიციებს და აუმჯობესებს ქვეყნის კონკურენტულობას. ინვესტორმა შეიძლება დაიწყოს აქტივების პრივატიზებისათვის დაჩქარებული პროცესები. აგრესიულმა ანტიკორუფციულმა ზომებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სა-

გადასახადო და საბაჟო ადმინისტრაცია და გაზარდა სახელმწიფო შემოსავლები, შეამცირა ჩრდილოვანი ეკონომიკა.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება გაზრდის საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას და დაიცავს ინტელექტუალური საკუთრების. თუმცა ქვეყანაში არსებობს ნეგატიური ფაქტორები: შეზღუდული შიგა ბაზარი; რუსეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური განუსაზღვრელობა; სუსტი კონკურენცია; ქართული საკრედიტო ბაზრის სიმცირე.

აშკარაა ისიც, რომ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა - 3.7 მილიონი, ცოტაა უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად; ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო ხარჯები და ადამიან კაპიტალი საჭიროებს გაუმჯობესებას. დიდი კომპანიების მოზიდვა რთულდება პატარა შიგა ბაზრის გამო, თუმცა აღნიშნული პრობლემა მხოლოდ დიდი, და არა მცირე და საშუალო კომპანიების მოზიდვას აფერხებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1.პაპავა ვ. „პოსტვარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები. ექსპერტის აზრი, #4. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევების ფონდი, 2013.
- 2.კირკიტაძე ზ. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დეტერმინანტების ანალიზი საქართველოში. ჟურ. „ეკონომისტი“, 2018, №2, გვ.146-156.
3. <http://business.mapsofindia.com/india-retail-industry/fdi/benefits-of-larger.html>.
4. <http://geoeconomics.grena.ge/en/?p=2018#.Vkcli8beRDQ>.

კაკაურიძე ნათელა

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების

მოზიდვის პოტენციალი

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია გლობალიზაციის პირობებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მნიშვნელობა. გამოვლენილია საქართველოში ინვესტორთა შემოსვლის სტრატეგიული მოტივაციები, რამდენად უწყობს ხელს საქართველოში არსებული მზარდი სავაჭრო დეფიციტის პრობლემის დაძლევა, რაც, თავის მხრივ, დაეხმარება ქვეყანას, მოიზიდოს შესაბამისი ინვესტიციები, რათა ხელი შეეწყოს სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, სტრატეგია, სოციალური პრობლემები

Какауридзе Натела

Академик Академии туристических наук Грузии.

Потенциал для привлечения прямых

иностранных инвестиций.

Резюме

В статье анализируется значение прямых иностранных инвестиций в условиях глобализации. Определены стратегические мотивы прихода инвесторов в Грузию, в какой степени они способствуют преодолению проблемы растущего торгового дефицита в Грузии, что, в свою очередь, поможет стране привлечь соответствующие инвестиции, чтобы способствовать решению других важных экономических и социальных проблем.

Ключевые слова: глобализация, стратегия, социальные проблемы.

Kakauridze Natela

Academician of the Academy of Tourism Sciences of Georgia.

Potential to attract foreign direct investment.

Summary

The article analyzes the importance of foreign direct investment in the context of globalization. The strategic motives for investors coming to Georgia are determined, to what extent they contribute to overcoming the problem of the growing trade deficit in Georgia, which, in turn, will help the country attract appropriate investments to help solve other important economic and social problems.

Key words: globalization, strategy, social problems

კაკაურიძე ნატელა

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტი

ნებისმიერი წარმატებული ორგანიზაციის მთავარ დასაყრდენი, მასში დასაქმებული ადამიანები არიან. ადამიანები წარმოადგენენ ორგანიზაციის მნიშვნელოვან რესურსს, ისინი განსაზღვრავენ კომპანიის სამომავლო სტრატეგიას, რომლის წარმატებით განხორციელებაც დამოკიდებულია არა მარტო მიღებულ გადაწყვეტილებებზე, არამედ ორგანიზაციაში დასაქმებული ადამიანების მიერ ამ გადაწყვეტილებების ეფექტიან რეალიზაციაზე. თანამედროვე ეტაპზე კომპანიათა ღირებულების შექმნაში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს ადამიანურ რესურსი, როგორც არამატერიალური აქტივი.

ამიტომაც გენსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პერსონალის (ადამიანური რესურსების) სწორ და მიზანმიმართულ მართვას. ადამიანური რესურსის სწორი მართვა კი გულისხმობს იმგვარი გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ ადამიანს ეძლევა საშუალება მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობისა და პოტენციალის რეალიზაცია ორგანიზაციული მიზნების მიღწევის პროცესში. მარტივი არ არის საერთო მიზნის

მისაღწევად მრავალი ადამიანის წარმართვა. ამ მიზნის განხორციელებისთვის აუცილებელია ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები შეიარაღებულნი იყვნენ ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდოლოგიითა და მიდგომებით.

სხვადასხვა ქვეყნის საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვა განსხვავებულად ხორციელდება. ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია სპეციალური უწყება, რომელიც ცენტრალიზირებული გზით ახორციელებს ყველა სამთავრობო უწყების ადამიანური რესურსის მართვას. ზოგიერთ ქვეყანაში ამგვარი პრაქტიკა მთლიანად დეცენტრალიზირებულია და თითოეული უწყება, თუ დეპარტამენტი ინდივიდუალურად ახორციელებს პერსონალის მენეჯმენტს. თუმცა, ძირითადად, შერეული პრაქტიკები გვხვდება, როდესაც ქვეყანაში არსებობს ადამიანური რესურსების მართვის ცენტრალური უწყება, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის ზოგად სტრატეგიას ხოლო უშუალოდ შესაბამისი აქტივობების განხორციელება, როგორცაა შერჩევა, შეფასება და ა.შ. ინდივიდუალურ უწყებებს ევალებათ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში - არის ადამიანური რესურსების მართვის ცენტრალური უწყება - პერსონალის მართვის ოფისი (Office of Personnel Management(OPM)). ოფისი მიიჩნევა, როგორც ადამიანური რესურსების დაგეგმვის ცენტრალური ორგანო ფედერალური მთავრობისთვის. მის მოვალეობაში შედის ფედერალური მთავრობისთვის პერსონალის სამუშაოდ შერჩევისა მართვის მიმართულებით დახმარების გაწევა. ოფისი აშშ-ში ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტების მიერ ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით განხორციელებულ პოლიტიკას უწევს ზედამხედველობას. კერძოდ ოფისი განსაზღვრავს, თანამდებობის პირთა კვალიფიკაციის სისტემებს, ანაზღაურებას, ბონუსებსა და სამსახურის დატოვების სისტემებს. პერსონალის მართვის ოფისი აფასებს თითოეული დეპარტამენტისთვის შექმნილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას და ამ პოლიტიკის ადეკვატურად განხორციელების პროცესს. პერსონალის მართვის ოფისს აქვს კონკრეტული პასუხისმგებლობები პერსონალის მართვის სხვადასხვა ასპექტის სისტემების განსაზღვრაში, თუმცა თითოეული დეპარტამენტი დამოუკი-

დებლად ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის ძირითად საქმიანობას კერძოდ:

- OPM განსაზღვრავს და მონიტორინგს უწევს ანაზღაურების სისტემას, ხოლო

ბიუჯეტის განსაზღვრა და ბონუსების განაწილება თითოეული დეპარტამენტის

პასუხისმგებლობაში გადადის;

- OPM განსაზღვრავს და მონიტორინგს უწევს პოზიციების კლასიფიკაციის

სისტემას, ხოლო რეკრუტინგის, კონტრაქტის ხანგრძლივობის, კარიერის მენეჯმენტის და სამსახურიდან გათავისუფლების მენეჯმენტი თითოეული დეპარტამენტის დონეზე ხორციელდება;

- OPM განსაზღვრავს და მონიტორინგს უწევს ქვევის კოდექსს და თანაბარი შესაძლებლობების საკითხებს, ხოლო შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის და სამუშაო გარემოს კორექტირების მენეჯმენტი ხორციელდება თითოეული დეპარტამენტის დონეზე.

აღსანიშნავია, რომ მაღალი რანგის საჯარო მოხელეთა შემთხვევაში HRM პრაქტიკა

არის განსხვავებული. მაღალი რანგის მოხელეები განიხილებიან როგორც ცალკე ჯგუფი. მათი პოზიციებისთვის განსაზღვრული უნარების პროფილებია შემუშავებული და შერჩევის პროცედურაც უფრო მეტად ცენტრალიზებულია. ძირითადად ისინი იღებენ შესრულებაზე დაფუძნებულ ანაზღაურებას და ბენეფიტს. ამასთან, უფრო მეტი ყურადღება ექცევა მათ კარიერას, შერსულებული სამუშაოს შეფასებას და პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს. აღსანიშნავია, რომ OPM-მა ინდივიდუალური პროფესიული მოთხოვნების შესაბამისად, შეიმუშავა კვალიფიკაციათა სტანდარტები. ეს სტანდარტები აღწერენ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (მაგ: განათლება, გამოცდილება, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა) თითოეული პროფესიული სერიისთვის. ეს სტანდარტი შემუშავებულია ზოგადად, მთლიანად სამთავრობო პოზიციებისთვის და არა უშუალოდ თითოეული დეპარტამენტის კონკრეტული პოზიციისთვის.

აღნიშნულ სტანდარტებზე დაყრდნობით, კონკრეტული მოთხოვნების განსაზღვრა, უკვე, უშუალოდ თითოეული დეპარტამენტის მოვალეობაში შედის. აშშ-ში შემუშავებულია სახელმძღვანელო პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამუშაოსთვის, რომელთა გათვალისწინება არ არის სავალდებულო, თუმცა რეკომენდირებულია, კვალიფიკაციის სტანდარტთან ერთად. მაგალითად, შემუშავებულია სახელმძღვანელო მენეჯერის პოზიციებისთვის, რომელიც აღწერს იმ ზოგად მოთხოვნებს, რაც უნდა გააჩნდეს ხელმძღვანელს. შესაბამისად, თუ უწყება აცხადებს კონკურსს ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიციაზე, გარდა ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტისთვის შემუშავებული საკვალიფიკაციო სტანდარტისა,

სასურველია გათვალისწინებულ იქნას აღნიშნულ სახელმძღვანელოში განსაზღვრული მოთხოვნები.

ადამიანური რესურსების მართვის ცენტრალური უწყება თურქეთში – სამთავრობო პერსონალის პრეზიდენტი (State Personnel Presidency). უწყების უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს სახელმწიფოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განსაზღვრა:

- განახორციელოს ადამიანური რესურსების მართვა ცენტრალურ/ეროვნულ დონეზე;
- უზრუნველყოს ამ პროცესის ხელმძღვანელობა და შეიმუშავოს პრინციპები;
- შეიმუშავოს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის დიზაინი;
- განახორციელოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის კოორდინაცია და ზედამხედველობა;
- უზრუნველყოს რეკომენდაციები საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწისთვის;
- შეიმუშავოს ანაზღაურების სისტემის დიზაინი;
- განახორციელოს შერჩევის პროცედურების და უნარების პროფილების სტანდარტიზაცია;
- უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგები.

ძირითადი საკითხები, რაც უკავშირდება ადამიანური რესურსების მართვას საჯარო სექტორში თურქეთში მთლიანად ცენტრალიზირებულ-

ლია. მაგალითად, ბიუჯეტის გამოყოფა, ანაზღაურების სისტემა, ბონუსების განაწილება, თანამდებობების

კლასიფიკაცია და თანამდებობიდან გათავისუფლების შემდგომი რესტრუქტურისაცია შესრულებული სამუშაოს შეფასება და ქვევის კოდექსი და ა.შ. რეკრუტირების პროცედურები და სამუშაო პირობების განსაზღვრა უმთავრესად ცენტრალურ დონეზე ხორციელდება, მაგრამ კონკრეტულ სამინისტროებს შეუძლიათ გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაც შეეხება კონტრაქტების ხანგრძლივობის განსაზღვრას, სამსახურიდან დათხოვნას და სამუშაო პირობების შედგენას – ეს ყველაფერი თითოეული სამინისტროს დონეზე ხორციელდება.

უფრო კონკრეტულად, თურქეთის საჯარო სამსახურებში შერჩევის სისტემა ძირითადად კარიერაზე დაფუძნებული. სამუშაოს დასაწყებად აპლიკანტები აბარებენ ვაკანტური პოზიციის შესაბამის გამოცდას. რაც შეეხება მაღალი რანგის საჯარო მოხელეებს ისევე როგორც აშშ-ში, თურქეთშიც ისინი განიხილებიან, როგორც ცალკე ჯგუფი და მათი პოზიციებისთვის უნარების პროფილები განსაზღვრულია ცენტრალურ დონეზე.

საქართველოში საჯარო სამსახურის ადამიანური რესურსების მართვა ძირითადად დეცენტრალიზირებულია. საჯარო სამსახურის თითოეული უწყება დამოუკიდებლად ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვას კადრების შერჩევისა და ნებისმიერი სხვა საქმიანობის ჩათვლით. ცენტრალიზირებულია მხოლოდ კონკურსის გამოცხადების წესები, რომელიც კონტროლდება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ. რამდენიმე წლის წინ საჯარო სამსახურებში ვაკანსიის არსებობის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდებოდა გაზეთებში და ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე. დღეს ნებისმიერი საჯარო სტრუქტურა ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით შექმნილ ვებ-გვერდის საშუალებით აცხადებს კონკურსს (www.hr.gov.ge). აპლიკანტებს კონკურსში მონაწილეობა და განაცხადის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდის საშუალებით. კონკურსის დასრულების შემდეგ კი თითოეული დეპარტამენტი დამოუკიდებლად ახორციელებს კადრების შერჩევას.

კერძო სექტორში, საჯარო სექტორისგან განსხვავებით ადამიანური რესურსების მართვა სრულიად დეცენტრალიზირებულია. თითოეული კომპანია (ორგანიზაცია) დამოუკიდებლად აყალიბებს მისთვის მისაღებ მოთხოვნილებებს, უნარჩვევებსა და შესაძლებლობებს, რომელიც უნდა ახასიათებდეთ კომპანიის მომავალ თანამშრომელს.

ადამიანური რესურსების მართვის ზოგადი, ცენტრალიზირებული სისტემა გულისხმობს ყველა უწყებაში პერსონალის მართვას ერთნაირად, რაც თავის მხრივ ამარტივებს ამ პროცედურას და ხელს უწყობს მის სამართლიანად განხორციელებას, გარკვეულწილად ნეპოტიზმის ელემენტების აღმოფრქვას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხარხელი მ, ქეშელაშვილი გ, მენეჯმენტის საფუძვლები, გამომცემლობა „საჩინო“, თბილისი, 2013.
2. ტაბატაძე მ, ადამიანური კაპიტალის მართვის თანამედროვე მიდგომები სისტემები და ინოვაციები, 2019.
3. <http://csb.gov.ge/uploads/civil-service-HR-practice-overview.pdf>.
4. <https://sangu.ge/images/2015/t.maisuradze.pdf>.

კაკაურიძე მარინა

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტი რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ადამიანური რესურსები, როგორც ორგანიზაციათა სამომავლო მიზნებისა და სტრატეგიების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ინტელექტუალური აქტივი. მოყვანილია მენეჯერთა მიერ, ეფექტური და მიზანმიმართული მართვის განხორციელების მაგალითები, თანამედროვე ორგანიზაციებში მენეჯმენტის პრაქტიკულ გამოცდილებასა და დაგროვილ თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსები, სამომავლო მიზნები, მენეჯერი

Марина Какауридзе

Академик Академии туристических наук Грузии.

Управление человеческими ресурсами

Резюме

В статье рассматриваются человеческие ресурсы как важный интеллектуальный актив, определяющий будущие цели и стратегии организации. Приведены примеры эффективного и целенаправленного осуществления управления менеджерами, основанные на практическом опыте управления и накопленных теоретических знаниях в современных организациях.

Ключевые слова: человеческие ресурсы, будущие цели, менеджер.

Marina Kakauridze

Academician of the Academy of Tourism Sciences of Georgia

Human Resource Management

Summary

The article examines human resources as an important intellectual asset that determines the future goals and strategies of the organization. Examples of effective and targeted implementation of management by managers are given, based on practical management experience and accumulated theoretical knowledge in modern organizations.

Key words: human resources, future goals, manager

შინაარსი

შორენა სიხარულიძე - ქართული ენის ისტორია, მისი გამორჩეული ადგილი სხვა ენათა შორის	5
ლიანა ლორია - ენის დიდი ქომაგი	10
ომარი ცხადაძე - გიორგი ლუკას ძე ჯაფარიძე ფიზიკური აღზრდის საკითხების მკვლევარი	14
ომარი ცხადაძე - ტურიზმი მოსწავლე-ახალგაზრდობის ყოველმხრივი აღზრდის საშუალება	21
ლუარა დოღობერიძე - სოფელი კინჩხა და ოკაცეს ხეობის ტურისტული მომავალი	34
ანდრეი ორლოვი, მარინა შნაიდერი - უნივერსიტეტის სტუდენტების ადაპტაციის პოტენციალის ინდიკატორები ფიზიკური აღზრდის კლასების ორგანიზების ფორმების სხვადასხვა კომბინაციებში	38
ანდრეი ორლოვი, ვალენტინა ტალანცევა, ოლგა შილენკო - ახალგაზრდა სპორტსმენების საწვრთნელი პროცესის ორგანიზების საშუალებებისა და მეთოდების არსენალის გაფართოების საკითხები	41
მარინა კაკაურიძე - სამედიცინო ტურიზმის აქტუალურობა	45
ნათელა კაკაურიძე - ეკოტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში	52
ნათელა კაკაურიძე - უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი	58
მარინა კაკაურიძე - ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტი ..	66

Содержание

Шорена Сихарулидзе - История грузинского языка, его особое место среди других языков	5
Лиана Лория - Большой поклонник языка	10
Омари Цхададзе - Гиоргий Джапаридзе, исследователь вопросов физического воспитания	14
Омари Цхададзе - Туризм – средство всестороннего воспитания учеников и молодежи	21
Луара Гогоберидзе - Деревня Кинчха и туристическое будущее долины Окаце	34
Андрей Орлов, Марина Шнайдер - ПОКАЗАТЕЛИ АДАПТАЦИОННОГО ПОТЕНЦИАЛА СТУДЕНТОВ ВУЗОВ ПРИ РАЗЛИЧНЫХ СОЧЕТАНИЯХ ФОРМ ОРГАНИЗАЦИИ УЧЕБНЫХ ЗАНЯТИЙ ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ	38
Андрей Орлов, Валентина Таланцева, Ольга Шиленко - К ВОПРОСУ О РАСШИРЕНИИ АРСЕНАЛА СРЕДСТВ И МЕТОДОВ ОРГАНИЗАЦИИ ТРЕНЕРОВОЧНОГО ПРОЦЕССА ЮНЫХ СПОРТСМЕНОВ	41
Марина Какауридзе - Актуальность медицинского туризма	45
Натела Какауридзе - Тенденции развития экотуризма в Грузии	52
Натела Какауридзе - Потенциал для привлечения прямых иностранных инвестиций	58
Марина Какауридзе - Управление человеческими ресурсами	66

Contents

Shorena Sikharulidze - History of the Georgian language, its special place among other languages	5
Liana Loria - Big fan of the language	10
Omari Tskhadadze -Giorgi Japaridze, researcher of physical education issues	14
Omari Tskhadadze - Tourism is a means of all-round education of pupil and youth	21
Luara Ghogoberidze - Kinchkha village and tourism future of Okatse valley	34
Andrey Orlov, Marina Schneider - INDICES OF THE ADAPTATION POTENTIAL OF UNIVERSITY STUDENTS IN VARIOUS COMBINATIONS OF FORMS OF ORGANIZING PHYSICAL EDUCATION CLASSES	38
Andrey Orlov, Valentina Talantseva, Olga Shilenko - ON THE QUESTION OF EXPANDING THE ARSENAL OF MEANS AND METHODS OF ORGANIZING THE TRAINING PROCESS OF YOUNG ATHLETES	41
Marina Kakauridze - Relevance of Medical Tourism	45
Natela Kakauridze - Trends in the development of ecotourism in Georgia	52
Natela Kakauridze - Potential to attract foreign direct investment	58
Marina Kakauridze - Human Resource Management	66

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ

Журнал выходит четыре раза в год

Journal out four times a year

მისამართი: როძევიჩის ქ. № 2, კუთაისი, 4600, საქართველო;
ტ: 551 60 85 60; 571 45 11 45

Адр: ул. Родзевичава № 2, Кутаиси, 4600, Грузия;
Т: 551 60 85 60; 571 45 11 45

Adress: st. Rodzevic № 2,
Kutaisi 4600, Georgia; T: 551 60 85 60; 571 45 11 45
გადაეცა დასაბეჭდად 09.11.2023 წ.

E-mail akadtour@gmail.com www.acaduni.edu.ge



dakabadonda da daibeWda
Sps "meranis" mier
quTaisi, cisferyanwelTa q. #6
tel: 0431 24 68 40